საქართველო

წლიწადი მეხუთე
ხუთშაბათი, 17 ივლისი 1919 წ. № 149
ფასი 3 მან.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება 180 მან. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 60 მან. ცალკე № 3 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა— 2 მ. 50 კ. ნისია განცხადებები 3 მ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 60 მ. მისამართის გამოცვლა 10 მ. რედაქცია და კანტორა ღიაა დილის 9 საათ. ნაშ. 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა; ფოსტის ადრესი, თბილისი, ფოსტის ყუთი № 76; ტელეგრამის ადრესი:— თბილისი „საქართველო“.

ტელეფონი № 15—73

პროვინციის ხელის მომწერთა საყურადღებოთ!

ხელის მომწერთ გაზეთი ყოველ დღე წესიერად ეგზავნებათ; თუ მათ ნუმრები აკლდებათ, მიზეზი ადგილობრივ უნდა ეძიონ.

კანტორა

გულდამწვარი დედა ქეთევანი შვილით ალექსანდრე თევზაძეები აუწყებენ ნათესავთ რა ნაცნობთ, რომ შაბათს 18 მკათათვეს 11 საათზე ჯაფინაურის ეკლესიაში ქალაქ სურამში იქნება გადახდილი ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი მათი დაუვიწყარი პირველის შვილის და მეუღლის მეორის დის და მამის

ნინო სოლომონის ასული თევზაძის

და

სოლომონ სვიმონის ძე თევზაძის

სულის მოსახსენებლად 1—2534—1

დამწუხრებული დები მარიამ ილიას ასული წულუკიძისა, ბარბარე ილიას ასული საყვარელიძისა და სიძეები დავით წულუკიძე და ლუარსაბ საყვარელიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი მათი საყვარელი დედის და ძმის

ელენე და გიორგის (გოგი) კიკნაველიძეების

სოფ. კიკნაველეთში შორაპნ. მაზრა შაბათს, 19 მკათარვეს. 1—„—1

ღრმად დამწუხრებული ნინო გრიგორ თითბერიძის ასული ივანიშვილი შვილებით: ალექსანდრე ელენე, ანეტა და კოწია ივანიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა პირველის ძმა და უკანასკნელთა ბიძა მე-2 საარტილერიო ბრიგადის პოდპირუჩიკი

ალექსანდრე გრიგოლის ძე თითბერიძე

დაკრძალვა დღეს, ივლისის 17-ს. გამოსვენება დილის 9 საათზე პლეხანოვის პრ. ყოფილი სამხედრო სასწავლებელი. წირვა ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში დაკრძალვა პეტრე პავლეს სასაფლაოზე. 1—2533—1

ხუთშაბათს, 17 ივლისს ანჩხატის ტაძარში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

ეკატერინე თომას ასული პავლიაშვილის

სულის მოსახსენებლათ, რასაც გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ შვილნი განსვენებულისა: ალექსანდრე, დავით, მარიამ, ელენე და ნინო. წირვა დაიწყება 9 ნახ. ს. პანაშვიდი 11 ნახ. საათზე.

დაიწყო ხელის მოწერა
კავკასიის სავაჭრო - სამრეწველო სააქციო საზოგადოების
„საქართველო“-ს
აქციებზე ხელის მოწერა მიიღება

ბათუმში ნიკ. საბაევი
ფოთში ბ. ქვანია
სოხუმში ნიკ. თავდგირიძე
სენაკში პეტ. დგებუაძე
სამტრედიაში ტ. სიხარულიძე
ქუთაისში პ. უზნაძე
ხონში მ. ბახტაძე
ყვირილაში მ. ბასილაია
გორში დ. მაჭავარიანი
თბილისში ტ. მარგველაშვილი
სიღნაღში ნ. ყაზბეგი
თელავში ვ. ციცქიშვილი

ხელის მოწერას მეთვალყურეობს ადგილობრივი საორგანიზაციო კომიტეტი დაგზავნილ ინსტრუქციის თანახმად. კომიტეტი ვალდებულია ენერგიულად და დაჩქარებით აწარმოოს საქმეები, რომ ხელის მოწერა მალე დასრულდეს. ხელის მოწერა წარმოებს ადგილობრივი ბანკის საშუალებით. 3—6.—3

თბილისის ქალაქის სამმართველო
იწვევს ექიმს
თბილისის სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორისა და ქალაქის საავადმყოფოს საბებიო განყოფილების ორდინატორის თანამდებობაზე პირველი თანამდებობის მსურველმა ექიმმა ქართული ენა უნდა იცოდეს.
თხოვნები დაწვრილებით „curriculum vitae“ ან მიიღება ქალაქის გამგეობის მედიკო-სანიტარულ განყოფილებაში მკათათვის 30-მდე. 2—141—2

წისქვილი
ძმ. ზუბაჯანოვებისა
ღებულობს ყოველნაირ საფქვავს
ავლაბარში, ნუხის ქუჩა № 13. 10—2521—2

მევენახეთა საყურადღებოთ,
ვაცხადებ, რომ მომივიდა დიდძალი, ნამდვილი იტალიური გოგირდი ვენახის ყურძნის შესაწამლად. იყიდება რიყეზე ბახჩიევის დუქანში
მხოლოდ მევენახეთ. 2 2532 1

მოკავშირეთა და კოლჩაკის მიწერ-მოწერა

დღეს საბოლოოდ გამორკვეულია, მოკავშირეთა პოზიცია რუსეთში. ისინი სცნობენ კიდევაც კოლჩაკის მთავრობას და კიდევაც ყოველგვარ დახმარებას უწევენ მას ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში. ოფიციალური მიწერ-მოწერა, რომელიც სწარმოებს ერთის მხრით კოლჩაკსა და მეორე მხრით ლოიდ ჯორჯ-ვუდრო ვილსონ-ჟორჟ კლემანსოს შორის, ეხება და არკვევს ამ ორი მხარის შეთანხმების პრინციპებს, რომელთა შორის ერთი ადგილი ყოფილ რუსეთის იმპერიის სხვა და სხვა ეროვნების საკითხს უჭირავს.

ამ მიწერ-მოწერიდან ნათლად მოსჩანს, რომ ეს საკითხი მოკავშირეთაგან ერთნაირად გადაჭრილი არ არის. მაშინ, როდესაც მოკავშირენი კოლჩაკისაგან მოითხოვენ პოლონეთისა და ფინლიანდიის დამოუკიდებლობის აღიარებას, და ამგვარად ეს ქვეყნები საერთაშორისო საგნად არიან დასახული, — ესტლანდიისა, ლატვიისა, ლიტვის, კავკასიის და იმიერ-კასპიის სახელმწიფოთა დამოუკიდებლობაზე ერთი სიტყვაც არ აქვთ ნათქვამი. მიწერ-მოწერის ტექსტით ყველა ეს ქვეყნები საერთაშორისო განრიგების ფარგლიდან გამორიცხულია და კერძოდ რუსეთის საკითხად არის დასახული. აშკარაა, რომ ამ ქვეყნების ბედს რუსეთის დამფუძნებელ კრებას უკავშირებენ. თუ რუსეთსა და ამ ქვეყნებ შორის შეთანხმება არ მოხდება, მაშინ საკითხის გადაჭრა ხალხთა ლიგას გადაეცემა; მანამ კი მოკავშირენი კოლჩაკისგან მხოლოდ იმას მოითხოვენ, რომ მან ეს ქვეყნები ავტონომიურ თვითმართველობებად იცნოს. გენერალი კოლჩაკი, რა თქმა უნდა, სავსებით ემხრობა ამ აზრებს. ამგვარად, მოკავშირენი ამ ქვეყნების საკითხის გადაჭრას თავიდან იშორებენ და მას ისეთ არანორმალურ პირობებში აყენებენ, რომ შეუძლებელია ამ ქვეყნების დამოუკიდებელი არსებობის უზრუნველყოფა მოკავშირეები სცნობენ პოლონეთ-ფინლაანდიისთვის თვითგამორკვევის პრინციპს, სცნობენ ამ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობას ფაქტიურად და ფორმალურად და იცავენ კიდეცა კოლჩაკის წინაშე. ამგვარივე ანალოგიური მდგომარეობა საქართველოსი და სხვა ზემოდ ჩამოთვლილ ქვეყნებისა კი სახეში მიღებული არ არის. რა არის მიზეზი ამგვარი სხვადასხვაობისა?

ყოვლად შეუძლებლად მიგვაჩნია, რუსეთის დამფუძნებელი კრება გახდეს ჩვენი ბედის გადამწყვეტი. ქართულმა ერმა დამოუკიდებლობა დაიმკვიდრა, საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ ეს დამოუკიდებლობა დაადასტურა. ქართველი ერის ნებისყოფის გადაწყვეტის უფლება ამ საგანზე არავის არ ეხელმწიფება. ეს პრინციპის საკითხია, იმ პრინციპისა, რომელზედაც ემყარებოდნენ მოკავშირენი და რომელთა მიხედვით პოლონეთისა და ფინლანდიის დამოუკიდებლობა მათგან იქმნა ცნობილი. ეს პრინციპი უნდა იქმნას დაცული საქართველოს მიმართაც მთელი ჩვენი საგარეო პოლიტიკა რეალური ნაბიჯები პარიზში იმ მხრივ უნდა იყოს წარმოებული და გადადგმული, რომ საქართველოს საკითხი, როგორც საერთაშორისო და არა რუსეთის საკითხი, დამოუკიდებლად იქმნას გადაჭრილი, ისე როგორც პოლონეთისა და ფინლიანდიისა. ჩვენი რუსეთთან ურთიერთობა აგება სწორის-სწორთან ურთიერთობის პრინციპზე. კოლჩაკი დაამარცხებს ბოლშევიზმს და თავის დამფუძნებელ კრებას მოიწვევს, თუ ბოლშევიზმი — კოლჩაკს, ამას არავითარი გავლენა არ უნდა ჰქონდეს საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებაზე მოკავშირეთა სახელმწიფოთა მიერ. სხვანაირად საკითხის დაყენება ერის უზენაესი უფლების შელახვა იქნებოდა.

მენშევიკების პარტიის დაშლაზე

ეს ამბავი ძველმა აზიურმა ბარბაროსებმა იცოდენ, მაგრამ ყველაზე უკეთ ეს სპარსელმა დესპოტმა კიროსმა გამოიყენა. როცა ამ მეფემ დაამარცხა ლიდია—ხალხი მიაჩვია ფუფუნებას, ტკბილ ცხოვრებას, რომ ამით გადაგვარებამდი მიეყვანა. ლიდიას თავის თავათაც არ აკლდა ცხოვრების გემო.

როცა მენშევიკებმა აიღეს საქართველო, მის მაგიერ რომ ეს ხერხი თავიანთ მტრების წინააღმდეგ გამოეყენებინათ, თვითონ ჩავარდენ ლიდიელების მდგომარეობაში.

მართალია იმის შემდეგ, რაც საქართველოს მენშევიკები დაეპატრონენ, სულ ერთი წელიწადი თუ გავიდა, მაგრამ მენშევიკებმა ამ მოკლე დროშიც მოასწრეს თავიანთი მადის გამოჩენა და არ დარჩენილა არც ერთი ხვრელი „ბურჟუაზიულ სახელმწიფოს“ სადაც მათ თავიანთი ხალხი არ ჰყავდეს და სახელმწიფოს „აშენების“ პროცესს არ აჩქარებდეს.

ეს ხალხი მართლა მშიერ კალიასავით დაერია საქართველოს და თავის გაუმაძღრობაში აპოკალიპსის კალიებსაც კი გადააჭარბეს, და ყოველ შემთხვევაში ვერავინ იტყვის, რომ ძველ მთავრობას ამ შემთხვევაში ჩამორჩება ახალი.

დღეს ისეთ ხასიათს იღებს ბოროტმოქმედება, მექრთამეობა და სხვა ამგვარი მოვლენა და თან ისე ხშირი და ყოველ დღიური ხდება, რომ ამაზე წერაც საწყენი გახდა ერთ დროს შეიძლება მართლა ჰქონდა აზრი, „პამპადურებზე“ წერას, მაშინ ამას სტილიც ჰქონდა თავისი, დღეს კი „პამპადურები“ ისე გახშირდენ, რომ ეს სტილიც დაიკარგა.

ცნობილია საქართველოში. მენშევიკებს ნამდვილი ინტელიგენცია ოპოზიციაში უდგა.

ერთ დროს მენშევიზმი სინონიმი იყო გარიყული და უიმედო სემინარიელების.

და ამიტომ მოხდა, რომ ეს პარტია ღარიბი ინტელიგენციით ყველა თავის ხალხს, რომელსაც პარტიული მუშაობა შეეძლო სახელმწიფოს უმაღლეს მმართველობას აბარებს. და ამით პარტიას აშორებს.

არც იმის თქმა შეიძლება მენშევიკების ბელადები, რომელნიც ეხლა მინისტრების და მის ამხანაგების პორტფელებს ირიგებენ, თავიანთ ადგილზე შესაფერი იყვნენ, მაგრამ პარტიას უფრო დააკლდა მათი მოშორება.

თუ ბელადები სახელმწიფოს მოექცენ სათავეში, წვრილ წვრილი მენშევიკების პროპაგანდისტებიც აუარებელ სოფლის კომიტეტების და კოლექტივების სახელმწიფოს სხვა დაწესებულებებში დარიგდენ დირექტორებათ, კომისარებათ, გუბერნატორებათ და ყველაზე მეტი დამფუძნებელ კრებაში. ხშირია ისეთი მოვლენა, რომ რომელიმე განაპირა მხარე თუნდაც ისეთი როგორც ძველი მესხეთია აბარია ისეთ ხალხს, რომელთა უფლების სახელმწიფო და საერთო განათლება სოფლის კოოპერატივის მაშტაბით გაიზომება.

ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მენშევიკების პარტია დღეს თანდათან ინგრევა, თანდათან შორდება მასსას და მალე სრულებით დაიბრიტება და ცხოვრებისგანაც გაირიყება.

ამ მოვლენას მენშევიკების პრესამაც მიაქცია ყურადღება. გაზეთი „ბორბა“ მორიგ მეთაურში აღნიშნავს, რომ პარტიული მუშაობა შესწყდა და მასსა თანდათან დაშორდა პარტიას. ამიტომ არის, რომ მენშევიკების ურყევი პარტიული დისციპლინაც ეხლა მხოლოდ მოგონებას შეადგენს...

მარტო გურიის კომიტეტის დადგენილება „ძველ გზებით“ სიარულზე რად ღირს?..

ყოველი დღე მენშევიკებს უკარგავს გავლენას ხალხში, ან და როგორ შეიძლება სხვანაირად იყოს. .

გადაათვალიერეთ მენშევიკების პრესა, მათი პარტიული ლიტერატურა. ყველაფერს ამჩნევია უნიჭობის შტამპი.

მათ გაზეთებს უცხოელები ხელმძღვანელობენ, არ არის არც ერთი წიგნი, რომელიც მენშევიკებს გამოეცათ ხალხისთვის, რომელშიც დაწერილი იყოს თუნდა ის „ფხიზელი რევოლუცია“ რომელიც მენშევიკებმა მოახდინეს.

ჯერ ჯერობით მენშევიკების პრესას ბ. ეშმაკი განაგებს და მისი „სოლომონ ზურგიელიძე“ ერთად ერთი წიგნი იყო, რომელიც მენშევიკებმა გამოუშვეს დამოუკიდებლობის წლის თავზე.

ეს წიგნი შეიცავს მენშევიკების ისტორიას და მართლაც რომ ღირსეული ისტორიაა!!.

და შიში აიტანს ყოველ ქართველის გულს, ვინც აფასებს შემოქმედებას და საქართველოს მომავალს, როცა დააკვირდება მენშევიკების საქართველოს;

ყოველ დღე ყვირილი იმაზე, რომ საქართველო ოაზისია კეთილდღეობისა და სახელმწიფოებრივი მშვიდობიანობის უკვე არა თუ მოსაწყენი და მომაბეზრებელი, არამედ შეურაცხმყოფელი გახდა კიდეც და ჩრდილს აყენებს ჩვენ ეროვნულ ღირსებას.

ხალხი, რომელიც შემოქმედებისთვის არის მოწვეული და გაჩენილი შიმშილით კვდება და მოკლებულია ყოველივე საშუალებას თავის ერს ემსახუროს, ეს მთელი სისტემაა ინტელიგენციის წელში გაწყვეტის და მოსპობის—არავინ იცის ეს თუ ოაზისია მაშინ უდაბნო რა უნდა იყოს.

მხოლოდ ჩვენ ვიცით, რომ საქართველო მართლა უდაბნოა და მხოლოდ მენშევიკების „პალმები“ იზრდებიან ამ ოაზისში.

ამიტომ დასაფასებელია „ბორბის“ მეთაური, რომელსაც ეტყობა უკვე მენშევიზმის დაეჭვება, მაგრამ განა ეს გრძნობა დიდხანს გასტანს?..

მენშევიზმის კრიზისზე მხოლოდ მაშინ დაიწყება ლაპარაკი, როცა ეს კრიზისი საქართველოს კატასტროფამდე მიიყვანს.

პრესსა

„ნორ აშხატავორი“ სადაო ადგილების შესახებ

„ნორ აშხატავორი“ 140 №-ში მეთაურში ეხება „სადაო და ნეიტრალურ“ მიწებს და შემდეგს ჰსწერს:

„ჩვენის აზრით სწორედ ამ სადაო ადგილების მიზეზით იყო გამოწვეული სომეხ-ქართველთა უბედური კონფლიქტი.

„დიპლომატიურ ვაჭრობის და საგაზეთო პოლემიკის დროს ძალიან ხშირად ახსენებენ ამ გეოგრაფიულ ტერმინებს და სრულებით ივიწყებენ იმ ხალხს, რომელიც ცხოვრობს ამ ალაგებში და რომლის ინტერესები ფეხქვეშ ითელება.

„ნეიტრალურ ადგილებში ადმინისტრაციის ხარჯებს ინაზღაურებენ ეკონომიურად დაქვეითებულ სოფლელებისაგან. თავის სოფლისაგან გამოსვლისთვის საწყალმა სოფლელმა უნდა პიროვნების მოწმობა აიღოს ერთი ლავაში ერთი ნაჭერი პურისთვის უნდა საბაჟო ადგილიდანაც უნდა აიღოს მოწმობაც. აღარ ვამბობთ იმას, რომ ყველა საადმინისტრაციო ხარჯების დასაფარავად გადასახადებს იღებენ ადამიანებისა და შინაურ პირუტყვებისაგანაც.

ასეთივეა სადავო ადგილებში მოსახლეთა მდგომარეობა.

ეს მოსახლეობა, როგორც „საეჭვო“, მუდმივ „აჯანყებების მომწყობნი“ ფაქტიურად მოკლებულნი არიან ყველა სამოქალაქო უფლებებს ყველა კომისარის და საზღვრების მოდარაჯე ოფიცრის თვითნებობის საგნად გამხდარან. მოთმინება ასეთს მდგომარეობისა დანაშაული იქნებოდა. დროა, რომ ამ არანორმალურ მდგომარეობას ბოლო მოეღოს და ამ ორი მეზობელ სახელმწიფოთა შორის დამყარდეს ისეთი ურთიერთობა, რომელიც დააკმაყოფილებდა არა მარტო დიპლომატიურ განწყობილებას, არამედ ამოისუნთქებდა თავისუფლად თვით ხალხიც, რომლის ინტერესებისთვის, თითქოს ხდება ეს არასაკადრისი დიპლომატიური ჯამბაზობა.

პარიზის კონფერენცია, ხვალ თუ ზეგ უეჭვოდ, შეიმუშავებს რომელიმე საზღვარს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა შორის. კარგი იქნება, თუ ავი, ჩვენ იძულებული ვიქნებით დავემორჩილოთ მას; მაგრამ რამდენად სასარგებლო და პრაქტიკული იქნებოდა, უკეთუ ჩვენ ქვეყნის საზღვრებს ჩვენს მეზობლებთან, ჩვენ თვით მოვხაზამდით.

სომხეთის და საქართველოს მმართველი წრეები მოვალენი არიან წინასწარ იმუშაონ ამ სერიოზული და სასიცოცხლო საკითხის გარშემო, იმიტომ რომ ამას მოითხოვს ორი ქვეყნის ინტერესი. ეს არის ყველაზე დიდი თავდები მეზობელ ხალხთა შორის მშვიდობიან ცხოვრების დამყარებისა. ხალხის სიყვარულით და კეთილ-მეზობლური ცხოვრების დამყარების სურვილით, ჩვენ ღრმათ ვართ დარწმუნებული, რომ ადვილად გადავჭრით იმას, რასაც ბევრნი ვაუხსნელ კვანძათ სთვლიან“...

სადაო ადგილი, ეს გორდიის კვანძი, სომეხთა აგრესივობამ და ტალიონის ინსტიქტმა შექმნა. „ნორ აშხატავორმა“ ეს კარგად უწყის. არასოდეს არც ბორჩალო, არც ჯავახეთი და არც მესხეთი სომხეთის სახელმწიფოს ფარგალში არ შესულა; არასოდეს სომხეთის ტერიტორიად ეს ადგილი არ ყოფილა ეს კუთხე აკვანია საქართველოს კულტურის და სიმტკიცე—მისი სახელმწიფოებრიობის. და იმ მოსაზრებით, რომ ოცდა-ათიან წლეებში და შემდეგაც სხვა და სხვა დროს ოსმალეთიდან აწიოკების შიშით, აყრილი სომხობა ამ ადგილებში დაბინავდა, დღეს ამ მხარეებზე ხელის დადება და სომხეთად გამოცხადება, საქართველოს მთელი ეროვნული შინაარსის შელახვა და მასხარად აგდებაა ქართველი ხალხი თავის თავს ვერ უარყოფს და თავის დღეში ამ მხარეებს ვერ დასთმობს. საქართველოს დღევანდელი მთავრობაც ამას ვერ იქმს, რადგან ვერ გაბედავს. (ეს სომხობა საქართველოში რომ დასახლდა და თუ ეს სურს საქართველოში დარჩება და იცხოვრებს კიდეც მისი კულტურული და მოქალაქეობრივი უფლებები ხელშეუხლებელი და უზრუნველყოფილი იქნება მუდამ. ეს გორდიის კვანძი „ნორ აშხატავორის“ მიმდევრებმა გასკვნეს. წინააღმდეგ ისტორიისა და სიმართლის და მათვე უნდა გახსნან იგი თანახმად ისტორიისა და სიმართლისა.

„მუხალისეთა“ თურქული გაზეთი ბათომში

მუხალისეთა აგენტებმა ბათომში, გაზეთ „ნაშ კრაისთან“ ერთად, რომლის პირდაპირ დანიშნულებას შეადგენს საქართველოსთან ბრძოლა, გამოსცეს ამავე სახელწოდების გაზეთი თურქულ ენაზედაც.

ამის გამო გაზეთი „სამუსულმანო საქართველო“ შემდეგს სწერს:

„ბათუმში მოკალათებულმა რეაქციონერებმა არ იკმარეს შავრაზმული აზრების გავრცელება რუსულ ენაზე. „ნოვოე ვრემიას“ მწერლები რენნიკოვი-სტოლიპინი თურქულ ორგანოსაც ჩასდგომიან სათავეში და ცდილობენ შეაყვარონ ქართველ მუსულმანებს რუსეთის ხალხის მიერ უარყოფილი მეფის გენერლები. დენიკინელებს გაზეთის ხელმძღვანელათ გამოუნახავთ თურქული ენის მცოდნე ბათუმის პოლიცმეისტრის თანაშემწეთ ნამყოფი პუჩინიანი, კაცი ფრიად გამოცდილი თვითმპყრობელობის სამსახურში“.

ჩვენი მკითხველები გაცნობილი

უკანასკნელი ცნობები

იტალიაში არეულობა წუნარდება.

გერმანიის დელეგაციამ ბელგიას სტუმართ პატივისცემის საერთაშორისო კანონის დარღვევისთვის უკმაყოფილება განუცხადა.

შვეიცარიამ ხალხთა ლიგაში შესვლის უფლება მოითხოვა.

ნიკოლაევში ჩაიყვანეს დაპატიმრებული ენვერ ფაშა და თალაათ ფაშა.

საფრანგეთსა და ამერიკის შორის ხელშეკრულება დაიდო, რომლის ძალითაც ამერიკა საფრანგეთს უნდა დაეხმაროს თუ მას გერმანია თავს დაესხმის.

საბჭოთა ჯარმა ეკატერინბურგი აიღო.

პალესტინაში ინგლისის პროტექტორატი დაარსდა.

არიან გენ რომანოვსკის მოხსენებასთან, რომელიც თავის მიზნად ისახავს, „მოხალისეთა" არმიის პროპაგანდის გაჩაღებას სამუსულმანო საქართველოში და ქართველ-მაჰმადიანებსა და ქართველ-ქრისტიანებს შორის მტრობისა და უთანხმოების ჩამგდებით, რუსული გავლენის გაძლიერებას.

ამ მიზნისათვის, გენ. რომანოვსკი საჭიროდ სთვლიდა „მოხალისეთა" გაზეთის გამოცემას რუსულ, თურქულ და ქართულ ენაზე.

როგორც სჩანს, გენ. რომანოვსკის განზრახვა ხორციელდება: რუსულ და თურქულ ენებზე გაზეთები უკვე გამოდიან. ქართულ ენაზედაც, ალბად მალე გამოვა.

ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

საქართველოს მთავრობა მოვალეა იშუამდგომლოს ინგლისის სარდლობის წინაშე, რომ იმ ადგილებში, რომელნიც მისი გავლენის სფეროში არიან მოქცეული, ალაგმულ იქმნენ ის აგენტები, რომელნიც სრულიად თავისუფლად აწარმოებენ ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებას.

ქრონიკა

◆ **ცენტრალური სტატისტიკური ბიურო.** განზრახულია მთავრობასთან ცენტრალური სტატისტიკური ბიურო დაარსონ. ბიუროს დანიშნულება იქნება შეაგროვოს და დაიმუშაოს ყოველ უწყებების სტატისტიკური ცნობები. დამფუძნებელმა კრებამ უკვე განიხილა ბიუროს დაარსების შესახებ სათანადო კანონ-პროექტი.

◆ **ადმირალ სიდმინსის ჩამოსვლა.** მკათათვის 13-ს სწრაფი მატარებლით თბილისში ჩამოვიდა ადმირალ სიდმინსი და ბათომის გენ. გუბერნატორი თავისი შტაბით. მათი ჩამოსვლის გამო გენ. კორი ბაქოში აღარ წასულა.

◆ **ბაკურიანის რკინის გზა.** ბაკურიანის რკინის გზაზე სამგზავრო მატარებლის გარდა დაინიშნა საღამოს მატარებელიც. ამ რიგად ბაკურიანის რკინის გზაზე ყოველ დღე 13 მკათათვიდან დილა-საღამოს ივლის მატარებელი.

◆ **შინაგან საქმეთა მინისტ. ამხანაგის ბრძანება.** ახალქალაქის მაზრის მილიციის უფროს შინაგან საქმეთა სამინისტ. კანცელ. დირექტორმა შემდეგი მოწერილობა გაუგზავნა „თანახმად მინისტრის ამხანაგის განკარგულებისა კანცელარია წინადადებას გაძლევთ დაუყონებლივ გაანთავისუფლოთ ახალქალაქში მილიციის მიერ დაპატიმრებული სამხედრო სამინისტროს მოიჯარადრეთა ფესტუსოვის და კობიშავილის საქონელი. შედეგი სასწრაფოდ გვაცნობეთ.

◆ **წ. კ. გ. საზ. საღამოს შემოსავალი.** 13 ივლისს ქართულ კლუბში, წ. კ. გ. საზოგადოების მიერ გამართულ სეირნობიდან საერთო შემოსავალი უდრის 49,000 მან. აქედან საქართველოს წითელი ჯვრისათვის 13,000 მან გადასდეს.

◆ **მოჭადრაკეთა ტურნირი.** ამ რამდენისამე დღის განმავლობაში ქართულ კლუბში იწყება მოჭადრაკეთა ტურნირი. ტურნირში მონაწილეობის სურვილი განაცხადა 30 კაცმა. შესვლის ფასი 25 მანეთი. მომგებთათვის დანიშნულია 8 პრიზი. 1 პრიზი მინიმუმი 845 მ., მეორე 500 მ., მესამე 292 მეოთხე 208 მ., მეხუთე 104. მეექვსე 52, მეშვიდე 26, მერვე 13. ჩაწერა გრძელდება. თამაში დაიწყება საღამოს 8 ს. და გაგრძელდება კლუბის დახურვამდე.

◆ **„ჯეჯილი".** რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი „ჯეჯილი", რომელშიც მოთავსებულია ლექსები და მოთხრობები: გ. ქუჩიშვილისა, ვ. მასხულიასი, ანასტასია წერეთლისა, ვალერიან გუნიასი, გ. ნიკოლაძისა და სხვ. ჟურნალი სუფთად და ლამაზად არის გამოცემული.

ქარ. სამუსიკო საზოგად.

◆ **ქარ. სამუსიკო საზოგადოების ახალი შემადგენლობა - გამგეობა;** კ. ანდრონიკაშვილი (თავმჯდომარე) ივ. გომართელი, მ. ვ. მაჩაბელი, ალ. ახმეტელაშვილი, ს. ჟორჟოლიანი, ივ. ცაგარელი, შ. კახეთელიძე, გ. ღვინიაშვილი, პ. მოსულიშვილი, კანდიდატებად: ვლ. ბოხოხაძე, ი. ლაღიძე, მ. ღლონტი. სამუსიკო კოლეგია: დ. არაყიშვილი, ა. ყარაშვილი, ი. კარგარეთელი, ნ. სულხანიშვილი, ი. აბაშიძე. კანდიდატებად: რ. გონიაშვილი, ვ. დოლიძე. სარევიზიო კომისია: შ. ქავთარაძე, დ. აკოფაშვილი, დ. მაჭავარიანი. კანდიდატად: ს. წერეთელი.

სისხ. სამართ. მილიციაში.

◆ **მადლობის გამოცხადება მილიციისადმი.** ლტოლვილთა დამხმარე ამერიკელთა კომიტეტის თბილისის განყოფილების ინსპექტორმა წერილობითი მადლობა გამოუცხადა თბილისის სისხლის სამართლის მილიციის უფროსს პ. ზ. ფაჩულიას, კომიტეტის ქონების გამფლანგველ პლოვსკის საქმის გამოძიების კეთილ სასურველად დამთავრებისათვის.

◆ **დაპატიმრება.** სისხლის სამართლის მილიციამ 14 ივლისს დააპატიმრა აიკ. ჯანიბახჩიევი, რომელსაც სხ. და სხ. ბოროტ-მოქმედებანი, ბრალდება. ჯანიბახჩიევი თითქმის 1 წელიწადი იმალებოდა.

◆ **ბრძანება.** სისხლის სამართლის მილიციის უფროსმა ბრძანება გამოსცა თავიანთ თანაშემწეთა და უფროს მილიციელთა მიმართ რათა მათ დააჩქარონ საქმეების გამოძიება.

კრებები.

◆ **მწერალთა კავშირის და სახელოსნო ცენტრის კრება.** დღეს, საღამოს 7 საათზე საადგილმამულო ბანკის შენობაში (ლორის-მელიქოვის ქუჩა) დანიშნულია მწერალთა კავშირის და სახელოსნო ცენტრის სასწრაფო კრება.

დამფუძნებელი კრება

15 ივლისის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

ცენტრ. სასტატისტიკო კომიტეტი.

დამფუძნებელი კრება შეუდგა ზოგად განხილვას კანონ-პროექტის საქართველოს ცენტრალურ სასტატისტიკო კომიტეტის დაარსების შესახებ.

მუხლობრივი განხილვა შემდეგი სხდომისთვის გადაიდო.

ქალაქი ონი.

მიღებულ იქმნა დეკრეტი სოფელ ონის ქალაქად დამტკიცების შესახებ.

სასანიტარო გადასახადი.

მიღებულ იქმნა დეკრეტი ერთდროულ სანიტარულ გადასახადის შესახებ. ამ დეკრეტის ძალით მოქალაქენი ვალდებულნი არიან ადგილობრივ თვითმართველობათა კასაში შეიტანონ ერთდროული გადასახადი სანიტარული ზომების მისაღებათ.

გადასახადს იხდიან გადასახადისაგან მიხედვით სულ—3„ პროცენტამდე. ჯამაგირის ნორმათ მიღებულ იქმნა: თბილისში 1000 მ. ქუთაისში—900 მ. ფოთში, სოხუმში და სხვა ქალაქებსა და დაბებში 800 მ. ვინც ამ ნორმაზედ ნაკლებს იღებს, გადასახადისაგან განთავისუფლებულია.

სამხედრო კანონ-პროექტები.

დამფუძნებელი კრება შეუდგა სამხედრო კანონ-პროექტების განხილვას ჯარის ორგანიზაციის შესახებ. სამხედრო კანონ-პროექტების განხილვისათვის დამ. კრების კარები დაიხურა.

აზერბაიჯანი

ტყვის მფრქვეველის აღმოჩენა

მაძებარი პოლიციამ ბაქოში ოვანეს პოლოსოვის (19 წლისა) ბინაზე აღმოაჩინა ტყვის მფრქვეველი პოლოსოვმა განაცხადა, რომ ტყვისმფრქვეველი მან ქართველ მიხეილ ახმედიანისგა შეიძინა 4125 მანეთად, რადგან მისი ხელობა იარაღის ყიდვა გაყიდვა არის. პოლოსოვი და ახმედინი დააპატიმრეს.

კოოპერატივთა ყრილობა

კასპიის საზოგადოება „კოოპერატიამ" თავს იდო აზერბაიჯანის კოოპერატივთა ყრილობის მოწვევა. ყრილობა გაიხსნება მკათათვის 25-ს - 500 წევრიანი კოოპერატივი ერთ წარმომადგენელს ჰგზავნის, ხოლო 1500-იანიკი 2-ს—1500-ზე მეტი წევრი რომელსაც ჰყავს ის 3-ს ჰგზავნის.

ბაქოს ბირჟა

კერენსკი 1000 მანეთიანებში 1400 მანეთზე მეტს აღარ აძლევენ.

კერენსკის 250 მანეთიანებში 1000-ში 1300 მანეთს აძლევენ.

ნიკოლოზის 500 მან.—1750 მან. 100 მანეთიანები—320 მან.

დაღესტნის შეიხ-ულ ისლამის მოთხოვნილება

ბრიტანეთის ჯარების უფროსად ბაქოს მუშათა კონფერენციას დაღესტნის შეიხ-ულ-ისლამმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნა:

„მე, ალი ჰაჯი აკუშინსკი, დაღესტნის შეიხ-ულ-ისლამი გთხოვთ რომ პასუხი გამცეთ შემდეგზე.

რადგან მოხალისეთა ჯარმა დემარკაციული ხაზი, რომელიც თქვენმა მთავრობამ დააწესა, გადალახა და დაიპყრა ქალაქები თემირ ხანშურა და დარუბანდი, ჩაიდინა ის აქტები რომლებიც ჩამოთვლილია ამასთანავე წარმოდგენილ განცხადებაში, რომელიც მოხალისეთა ჯარის სარდლობასაც წარუდგინე. გთხოვთ, მოწყალეო ხელმწიფეო, მიპასუხოთ ყველა ამ აქტების ჩადენის შემდეგ, რა ზომები მიიღეთ, ან რა ზომებს ჰფიქრობთ მიჰმართოთ, იმ ბრძანების სისრულეში მოსაყვანათ რომელიც თქვენი მთავრობის მიერ იყო გამოცემული. ეს საჭიროა, რომ მოხალისეთა და დაღესტნელთა შორის მდგომარეობა არ გართულდეს.

დაღესტნის შეიხ-ულ-ისლამი ალი ჰაჯი აკუშინსკი".

ლენქორანის აღება

ბაქოში მოსული სარწმუნო წყაროებით მაჰმადიანთა რაზმმა რამაზანის მეთაურობით მკათათვის 13-ს ლენქორანი აიღო.

ოლენგრენის გამგზავრება

კერძო ცნობებით პოლკოვნიკი ოლენგრენი ეკატერინოდარში გაემგზავრა.

ფოსტა-ტელეგრაფი

ნაქალაქევის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება.

15 მკათათვიდან გაიხსნა ს. ნაქალაქევის (სენაკის მაზრა) ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება. ოპერაციები კიდეც დაიწყო.

„ბორჯომ-პარკის განყოფილება.

14 მკათათვიდან გაიხსნა დროებითი ფოსტის განყოფილება „ბორჯომ-პარკი" რომელიც იღებს აგრეთვე დეპეშებსაც.

ოსმალეთის დელეგაცია

სომხეთის გამოყოფაზე თანახმაა,

გაზ „ჟაგადამარტი"-ს ცნობით პარიზში გამგზავრებულმა კონსტანტინოპოლის დელეგაციამ გადაწყვიტა, რომ ომის დაწყებაში პასუხის გება ახალგაზრდა თურქებს მოახვიონ თავს, სომხეთის გამოყოფაზე დაეთანხმოს, ხოლო არავითარ შემთხვევაში ხელი არ მოაწეროს სმირნის ბერძნებზე გადაცემის საკითხს.

ტრაპიზონის ვილაეთი

სომხებს უნდა გადაეცეს.

ბაქოს გაზეთი „ნაშე ვრემია"-ს ფრანგული გაზეთებიდან მოჰყავს ცნობა რაშიაც ნათქვამია:

„სახავო კონფერენციაზე საბოლოოდ გადაწყდა რომ ტრაპიზონის ვილაეთი სომხეთს უნდა შეუერთდეს, როგორც ავტონომიური ერთეული. ბერძნებმაც ამას დაუჭირეს მხარი.

ფრონტის დღე

საგანგებო მატარებელი საზღვარგარეთის დაგვარად.

ფრონტის პირველ დღეს—შაბათს 19 მკათათვის დილის 8—9 საათზე, ინიშნება ბაქო—ბათომ—ფოთისაკენ საგანგებო-სადღესასწაულო მატარებლები.

მატარებლები იქნება საუცხოოთ მორთულ-მოკაზმული, მუსიკის ორკესტრის თანხლებით და ვაგონ რესტორანით.

მატარებელი გაჩერდება: ბაქოში 6 საათს, ბათომში 5. საათს ფოთში 3 საათს. მგზავრების შეთანხმებით შეიძლება მეტიც გაჩერდეს.

ბათომის ბილეთის ამღებნი, ფოთში შესვლისათვის ზედ მეტ საფასს არ იხდიან.

ბილეთები იყიდება როგორც ერთ მხარეზე, ისე იქით-აქეთაც

ფასები ჩვეულებრივია.

იქნება სამივე კლასის ვაგონები, საგანგებოთ დაწმენდილ დასუფთავებულნი.

ბილეთები იყიდება დღეიდან, თბილისის სადგურზე ბაგაჟის კასაში დილის 10—2 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

მგზავრებო!.. ექსკურსანტებო!.. ბაქო—ბათომ—ქუთაის—განჯა - ფოთში წამსვლელებო!

ისარგებლეთ შემთხვევით.

იმოგზაურეთ ამ სასიამოვნო მატარებლით.

შემოსავალი მოხმარდება ფრონტს.

ადგილები განსაზღვრულია.

ერგება იმას, ვინც ადრე იყიდის.

პლაცკარტი, ბუფეტი, მუსიკა, თამაში, სიცილი, მხიარულება და კეთილი მიზანი... ასეთი მატარებლით მოგზაურობას რა სჯობია?

ეს ჩვენში პირველი მაგალითია.

პირველი რაიონის კომისია.

—

ფრონტის დღე კახეთის გზაზე.

შაბათს, დილის 9 ს. თბილისიდან ჩვეულებრივად წამსვლელი მატარებელი იქნება სადღესასწაულოდ მორთული. ამ მატარებელზე ამხანაგები გამართავენ ფრონტის დღეს, გაჰყიდიან გაზეთებს, ღია წერილებს, ყვავილებს, წიგნაკებს, შეაგროვებენ ყულაბებით ფულს და მისცემენ ამ მატარებელს სადღესასწაულო ხასიათს.

გაუმარჯოს ფრონტს, გაუმარჯოს დემოკრატიულ საქართველოს.

—

ფრონტის დღე ავლაბარში.

ფრონტის დღის მოსაწყობად ავლაბარში შესდგა კომისია, რომელშიაც შედიან რაიონში მომქმედი საზოგადოებრივი ძალები. განზრახულია 19—20 ივლისს ავლაბრის სახალხო უნივერსიტეტში მოეწყოს მოხსენებები, ქალაქის ბაღში, რომელიც მდებარეობს არამიანცის საავადმყოფოს მახლობლად გაიმართოს დიდი სახალხო სეირნობა. მთელი რაიონისთვის შესდგა საპატიო კომისია ადგილობრივი ვაჭართა და ინტელიგენტთაგან, რომლებიც შეაგროვებენ ფულს. ფრონტის მომწყობი კომისია მიიღებს შემოწირულებას ავლაბრის მესამე რაიონის ს. ს. დ. მ. პ. კოლლექტივის ბინაზე, კახეთის ქუჩა № 1.

აფეთქება ტრაპიზონში

გასულ კვირას, ქ. ტრაპიზონში მოხდა დიდი აფეთქება ნაღმისა, რომელიც დარჩენილიყო რუსების წამოსვლისა და 1918 წლის აფეთქების შემდეგ. ახალ აფეთქებამ თვისი შედეგებით გადაამეტა 1918 წლის აფეთქებას. მისი ხმა ბათუმშიც კი გაიგონეს. ტრაპიზონში არ დარჩენილა არც ერთი მუშა; ადამიანთა მსხვერპლი 100 კაცს აღემატება. ამბობენ, რომ ეს აფეთქება მოწყობილი იყო ოსმალებისაგან მოხალისეთა არმიის, იმ პრეტენზიებისა გამო, რომელსაც იგი აცხადებდა ამ საწყობებზედ.

ამირბარ კოლჩაკის პასუხი მოკავშირეთა ნოტაზე

ამას წინად ჩვენ გაზეთში დაბეჭდილი იყო მოკავშირეთა ნოტის ტექსტი, რომელიც ამირბარ კოლჩაკს გაეგზავნა და რომელშიც რამდენიმე პირობა იყო წარდგენილი. ამ ნოტაზე თიბათვის 4-ს კოლჩაკმა ნოტითვე უპასუხა, რომელიც დაბეჭდილია პარიზის გაზ. „ტან"-ში. მოგვყავს ნოტის შინაარსი და ზოგიერთი საგულისხმიერო პუნქტი.

„ის მთავრობა, რომლის სათავეშიაც მე ვდგევარ ბედნიერად ჰგრძნობს თავს, რო მოკავშირე სახელმწიფოთა აზრი ჩვენი მიზნების შესახებ ისეთივე ყოფილა, როგორც ჩვენი".

შემდეგ ის მოკავშირეთა წარდგენილ პირობებზე მუხლობრივ უპასუხებს. პირველ მუხლში კოლჩაკი ამბობს, რომ მისი მიზანია დამფუძნებელ კრების მოწვევა. „რაწამს საჭირო აღარ ვიქნები, მაშინვე გადავდგებიო" სწერს კოლჩაკი.

მეორე მუხლში კოლჩაკი ამბობს, რომ საერთაშორისო საკითხებზე მას ეხლავე შეუძლია იმსჯელოს და შეუთანხმდეს მოკავშირეთ „მეორე მხრივ რუსეთის მთავრობას საჭიროდ მიაჩნია რათა ყველაფერს ჰქონდეს თვისი სანქცია დამფუძნებელ კრებისგან, ვინაიდან რუსეთი ეკუთვნის დამფუძნებელ კრებას. რუსეთი არის და არც შეუძლია არ იყოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელშიც ყველა ტერიტორიული საზღვრების შეცვლის საკითხი მხოლოდ და მხოლოდ დამფუძნებელი კრების დაკითხვით უნდა გადასწყდეს. უცხო სახელმწიფოებთან ურთიერთობის საკითხიც ხალხის წარმომადგენლობითმა ორგანომ უნდა გადასწყვიტოს"

მესამე მუხლში კოლჩაკი ეხება რუსეთში მოსახლე თავისუფლების საკითხს და ერთა ამბობს:

„მივიღეთ რა მხედველობაში, რომ მსოფლიო ომის ნამდვილი შედეგი იყო ერთიან პოლონეთის მთავრობის შექმნა, რუსეთის მთავრობა აღიარებს პოლონეთის დამოუკიდებლობას, რომელიც 1917 წელს გამოცხადდა საბოლოო სანქცია პოლონეთ-რუსეთის საზღვრებისა ეკუთვნის ისევ რუსეთის დამფუძნებელ კრებას.

აგრეთვე მზადა ვართ ვაღიაროთ ფინეთის დამოუკიდებლობა, მაგრამ ესეც საბოლოოდ დამფუძნებელ კრებამ უნდა გადასწყვიტოს.

მეოთხე მუხლი ლიტვის, ესტლიანდიის კავკასიის და კასპიის ერთეულებს ეხება. „გვგონია რომ ამ საკითხებში ჩვენ მალე შევთანხმდებით, მით უმეტეს, რომ ჩვენმა მთავრობამ ეხლავე აღიარა ზოგიერთ მათგანის ავტონომიური უფლებანი. სალაპარაკოც არ არის ის რომ ამ სახელმწიფოთა ტერიტორიის საზღვრებში ყველასათვის ცალ-ცალკე პირობებში გადასწყდება. თუ ამ საკითხების გადაჭრაში თავი იჩინა უთანხმოებამ მთავრობა მზადაა უთანხმოების მოსასპობად მიჰმართოს ხალხთა ლიგას.

მეხუთე მუხლში კოლჩაკი ამბობს რომ ზემოხსენებული დამფუძნებელ კრების უფლება ბესარაბიაზედაც ვრცელდებაო.

მეექვსე მუხლში კოლჩაკი კიდევ ერთხელ ამტკიცებს თავის 1918 წ. გიორგობისთვის 27-ს გამოცემულ დეკლარაციაში, რომელშიაც აღიარებს რუსეთის მიერ მოკავშირეთაგან აღებულ ვალს.

მეშვიდე მუხლში ამბობს კოლჩაკი, რომ რუსეთის შინაური წყობილება უნდა იყოს რესპუბლიკანური; და მონარქიული რეჟიმის დამყარებაზე სიტყვაც კი არ შეიძლება ითქვასო.

მერვე მუხლში კოლჩაკი აცხადებს რომ მომავალ რუსეთში კანონის წინაშე ყველა თანასწორი იქნება და სხვა.

„მე მწამს, ბოლშევიზმს რომ გავანადგურებთ მაშინ ვიმედოვნებთ რომ შესაძლებელი შეიქმნება დამაკმაყოფილებლად გადავსწყვიტოთ ყველა საკითხი, რომელნიც ერთნაირად საგულისხმიეროა ყველა ეროვნებათათვის, რომელთა ბედიც რუსეთთან არის დაკავშირებული.

კოლჩაკი".

ცნობები რუსეთიდან.

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ქართველი სტუდენტობა ნოვოროსიის გუბერნატორის რწმუნებულთან.

როსტოვის სტუდენტობას ნოვოროსიაში გუბერნატორის რწმუნებულმა პოლკოვნიკმა №, როცა სტუდენტები საქართველოსკენ გასასვლელ ნებართვას თხოულობდენ სხვათა შორის მრავალ სხვა პირებთან დაცინვით უთხრა: „საქართველოს რესპუბლიკაში როცა მჭირდებოდა სამხედრო მინისტრიდან მოკიდებული უბრალო კარისკაცამდე ყველა მოყიდული მყავს ძლიერ ძვირ გროშითო.

პარამანოვის გემი სოჭში.

ამ დღეებში პარამანოვის გემი „ელპიდოფორა" სოჭის გვერდით ჩავლას აპირობდა მოხალისეთა ჯარის სარდლობამ საბრძოლველი ბაირაღი გამოუფინა გაჩერების ნიშნად. გემი არ გაჩერდა. ტყიდან არტილერიამ 26-ჯერ ზარბაზანი ესროლა, მაგრამ ვერც ერთი ვერ მოახვედრეს შემდეგ ამ გემს მეორე გემი „ხერსონესი" გამოაკიდეს, და დაიჭირეს. ამ გემს ქართველი ვაჭრების ამანათები მოჰქონდა. „რკინეულობა ცარიელი სალვინე ბოჩკები და სხვა) ამბობენ გემზე უნებართვოდ ფქვილი მოჰქონდაო, მაგრამ როცა „ხერსონესი" დასაჭერათ უახლოვდებოდა ზღვაში გადაყარეს. ხემის კაპიტანმა თავი მით იმართლა რომ მე სოჭში მეგონა რომ ქართველების ჯარი იყო შემოჭრილი. გემი გაანთავისუფლეს.

საკრედიტო დაწესებულებათა საბჭოში

„საქართველოს საკრედიტო დაწესებულებათა ყრილობის საბჭომ თავის წევრებს შემდეგი მიმართვა დაუგზავნა:

„საქართველოს საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლების ყრილობის დავალებით საბჭოს მიერ დაწყებული არტელი! ორგანიზაციის საქმე, რომელსაც საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს წარმატებით [illegible] გვინდა. ეს ორი თვეა რაც საქართველოს პასუხისმგებელ მოხელეთა არტელმა დაიწყო თავისი საქმიანობა. ამ მოკლე ხანში მიიღო მან ასამდე წევრი. იმათაგან 35 კაცი მისცა მან რესპუბლიკის სახაზინო რკინის გზათა სამმართველოს. მათ შორის ერთი მთავარი კასირია, ერთი მისი თანაშემწე და 33 მეარტელე-მოლარენი. განაწილდებიან ამ გვარად: ორ-ორი მოლარენი ბათომში, ფოთში, სამტრედიაში, ქუთაისში, შორაპანში და ხაშურში და დანარჩენნი კი მუშაობენ თბილისში. რკინის გზასთან ხელშეკრულების პირობები მეარტელეთათვის ერთობ ხელსაყრელია.

გარდა ამისა არტელს აქვს მოლაპარაკება კახეთის რკინის გზის სამმართველოსთან, საქართველოს გზატკეცილთა სამმართველოსთან, ქარხნებთან და კოოპერატივებთან და სხვ. არტელმა მათ უნდა მიაწოდოს არა ნაკლებ 80 მოლარისა თუ მოანგარიშისა, საქმე გადაწყდება ამ ერთ კვირაში.

დიდი სიამოვნებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება რომ ყველა დაწესებულება მთავრობისაა იგი თუ კერძო, ცდილობს, საკასო ოპერაციების თვალსაჩინო წარმოებისათვის, უეჭველად იყოლიოს პასუხისმგებელი მოლარე. ამის დამამტკიცებულია მრავალი განცხადებები და თხოვნები არტელისადმი მეარტელეთ მოთხოვნა დღითი დღე იზრდება.

ამ მოკლე ხანში უნდა მოხდეს არტელის საერთო ყრილობა. ამ ყრილობაზე არტელის გამგეობა გააკეთებს თავისი მოქმედების ვრცელ მოხსენებას. თუ თქვენ რაიონში არსებულ დაწესებულებათ დასჭირდესთ არტელის წევრების სამსახური მიმართონ არტელის გამგეობას თბილისში. (ფრეილინის ქუჩა № 11) არტელთან არსდება საბუღალტერო კურსები".

დეპეშები

(საქ. დეპეშ. სააგენტო)

ივლისის 16-ს

გერმანული პრესა.

ფინეთის ჯარის დამარცხება.

ჰელსინგფორსიდან იუწყებიან, რომ ფინელი მოხალისეთა კორპუსი როგორც ამბობენ, დამარცხდა და ოლონეცის გუბერნია სრულიად დასცალა. ბოლშევიკები სოფლებს სწვავენ და მცხოვრებლებს ხოცავენ.

მდგომარეობა რეინის პროვინციაში

პარასკევს დილით ვერსალში მოხდა გერმანიის კომისიის და დიდ სახელმწიფოთა შორის რეინის საქმეთა კომისიის შეერთებული სხდომა, რომელზედაც ლევალდმა განაცხადა: გერმანიის მთავრობამ იცოდა, რომ დადასტურებულ შეთანხმების შეცვლა შეუძლებელია, მაგრამ ის, რაც რეინის პროვინციაში ხდება დამატებითი ხელშეკრულების დადებას მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებრობა მოხდება. დაპყრობილ პროვინციების მცხოვრებნი თავისუფალ მოქალაქეთა უფლებებით უნდა სარგებლობდენ: არ უნდა დაირღვეს აგრეთვე საქონლის გაცვლა და საფოსტო ურთიერთობა ამ პროვინციებისა და გერმანიის შორის. ჯარის დაბანაკების ხარჯები რაც შეიძლება უნდა შემცირდეს. საბაჟო და პოლიტიკური საზღვრები ერთი და იგივე უნდა იყოს. ლიუერმა უპასუხა, რომ საფრანგეთის კომისიას სურს მდგომარეობა შეუმსუბუქოს დაპყრობილ ოლქების მცხოვრებთ მაგრამ გერმანიის დელეგაციის მოთხოვნილებები იმდენად მნიშვნელოვანი და ისე მრავალია, რომ მათზე ეხლავე პასუხის გაცემა შეუძლებელია და წინადადება მისცა დიდ სახელმწიფოებთან მოლაპარაკება განაგრძონ. გერმანელები დათანხმდნენ და ბერლინში დაბრუნდნენ:

იტალიაში არეულობა წუნარდება

უკანასკნელ ცნობებით, იტალიაში სურსათის ნაკლულობით გამოწვეული არეულობა წუნარდება.

„ფორვერტს"-მა გამოაქვეყნა გერმანიის და გერმანულ-ავსტრიის სტუდენტ-სოციალისტთა მოწოდება სხვა სახელმწიფოს სტუდენტებისადმი. მოწოდებაში წინადადებას აძლევენ თავისი წარმომადგენლები გაგზავნონ იმ ყრილობაზე, რომელიც ლიუცერნში შესდგება.

გერმანიის წარმომადგენლები ბელგიას უკმაყოფილებას უცხადებენ

ივლისის 6. სპადან წასვლის წინ გენ. ჰამერშტეინმა შემდეგი ნოტით მიმართა ბელგიის კომისიის თავმჯდომარეს გენ. დელობეს: ჩემდა სამწუხაროდ სპადან წასვლისას უნდა განვაცხადო რომ ბელგიის მთავრობისაგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეიმდე, მიუხედავად ჩემი მრავალს მიმართვისა, არ მიმიღია დაკმაყოფილება სტუმართ-მოყვარეობის საერთაშორისო კანონის შებღალვისთვის და უზრუნველყოფილ არ იქნა დროებითი ზავის კომისიის წევრთა პიროვნობის ხელშეუხებლობა.

შავკანიანების მოქმედება რეინში

რეინის მარცხენა ნაპირიდან იუწყებიან, რომ მას შემდეგ რაც ამ ადგილებში შავკანიანი ჯარი ჩააყენეს საოკუპაციო ჯარის განაწილებასა და დამოკიდებულებაში დიდ ცვლილებები მოხდა. სამხრეთით იტალიის რეგულიარული ჯარი სდგას.

გერმანულ-ფრანგული კონფლიქტი ბერლინში.

ბერლინში ფრანგი სერჟანტის მოკვლის გამო ოფიციალურად იუწყებიან, რომ გამოურკვეველ მიზეზის გამო წაიჩხუბნენ გერმანელი ჯარის-კაცი და ფრანგი სერჟანტი, რომელიც უცნობმა პირმა მოჰკლა. როგორც კი ეს მოახსენეს პოლიციის უფროსს ფონგანიელს, ის მაშინვე გაემგზავრა ესპანიის ელჩთან, რომელსაც მინდობილი აქვს საფრანგეთის წარმომადგენლობა და მწუხარება განუხადა მომხდარ ამბის გამო. საფრანგეთის ბერლინში მყოფ მისიასა და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს შორის პირდაპირი ურთიერთობა ჯერ აღდგენილი არ არის. გამოძიება გრძელდება. დანიშნულია 10,000 მარკა ჯილდოდ იმისთვის, ვინც მკვლელზე მიუთითებს.

ფრანგ-იტალიელ ჯარისკაცთა შეტაკება ფიუმეში.

ოთხთა საბჭომ დიდი ყურადღება მიაქცია ფიუმეში საფრანგეთის და იტალიის ჯარისკაცთა შორის მომხდარ შეტაკებას. საქმის გამოსარკვევად გამომძიებელი კომისია დაინიშნა.

„გამარჯვების დღესასწაული“

ამინდი ძალიან ხელს უწყობდა გამარჯვების დღესასწაულს. ივლისის 13 საღამოც მშვენიერი იყო. დღისით პროცესია გამართა ქალაქის საბჭოს მოედნისაკენ. სადაც ქ. პარიზის სახელით საპატიო ხმლები გადასცეს ჟოფრს, ფოშს და პეტენს. საღამოთი დიდ ძალი ხალხით გაივსო ელისეს ველი, ყველა მიემართებოდა საფრანგეთის მიერ ომში დაღუპულთა პატივსაცემათ აგებულ ძეგლისკენ, რომელსაც პროჟექტორებით ანათებდნენ. წესიერებას იცავდენ ცხენოსანი ჯარის კაცები ანთებულ ჩირაღდნებით ხელში. საღამოს 10 საათზე კლემანსომ პიშონის და ტარდიეს თანხლებით ძეგლი დაათვალიერა. დღეს დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი ჯარის პარადის საყურებლად. მზე მშვენიერად ანათებდა. ისმოდა ზარბაზნების სროლა. მაიოს კარებიდან რესპუბლიკის მოედნამდე საზეიმო გზაზე მიმავალ ჯარს ხალხი აღტაცებით ესალმებოდა ელისეს ველზე, „პალე როიალსა“ და ბულვარებზე ხალხი აღტაცებით უძღვნიდა სალამს დიდ წინამძღვრებს, მოკავშირეთა ჯარის რაზმებს და ბოლოს საფრანგეთის ჯარს. საღამოთი რესპუბლიკის პრეზიდენტი სადილს გაუმართავს საფრანგეთის მარშალს, მოკავშირეთა ჯარების მთავარ სარდლობას, არმიის, კორპუსის და მოკავშირეთა საზღვაო ძალთა უფროსებს. პეტენის მიერ არჩეულ 10 ოფიცერს და ჯარისკაცს, რომელიც საპატიო ლეგიონის ორდენით არიან დაჯილდოვებული, წინადადება მისცეს მონაწილეობა მიიღონ ზეიმში“.

სტეფანე ლოზანსი მარშალ ფოშის შესახებ.

სტეფანე ლოზანსი (?) მარშალ ფოშთან შეხვედრის შესახებ სწერს: „1918 წ. ივლისის ბრძოლას ფოშმა ხალხთა შებრძოლება უწოდა“. მან სთქვა: „ფრანგები, ბრიტანელები, ამერიკელები და იტალიელები მხარ და მხარ იბრძოდნენ; ყველა ასრულებდა თავის მოვალეობას და მეც ჩემსას ვასრულებდი. ივლისის ბრძოლა მხოლოდ დასაწყისი იყო და არავინ იცოდა თუ, როდის იქნებოდა დასასრული, მაგრამ მე მშვენიერად ვიცოდი, თუ როგორი იქნებოდა იგი, იმიტომ რომ არც ერთი დღეს, არც ერთ საათს, მე არ დამიკარგავს იმედი გამარჯვებისა, ომში, ვინც გულში ეჭვს იტარებს, ის იღუპება“.

შვეიცარიის ყოფილი პრეზიდენტი, შულტესი შვეიცარიის ხალხთა ლიგაში შესვლის შესახებ.

შვეიცარიის ყოფილი პრეზიდენტი შულტესი სოციალისტ-რადიკალების კრებაზე ენერგიულად მოითხოვდა, რომ შვეიცარია ხალხთა ლიგაში შევიდეს: „მე არა მსურს ვისმეს ძალით მოვახვიო ჩემი აზრი, მაგრამ დამეთანხმებით, რომ მისი საყოველთაოდ გამოქვეყნების უფლება მაქვს, როდესაც საქმე ეხება ასეთ მნიშვნელოვან საკითხს. მე სრულიად მიუდგომლად განვიხილე ხალხთა ლიგის წესდება, ყურადღება მივაქციე მის სუსტ მხარეებს და ნაკლულევნებებს. მე თანხმა ვარ, რომ ხალხთა ლიგაში შესვლით შვეიცარია იძულებული იქნება შეურიგდეს საზარალო პირობებს; მაგრამ როდესაც ჩემ თავს, როგორც სახელმწიფოს ეკონომიურ ინტერესების წარმომადგენელს და ფედერატიულ საბჭოს წევრს, შევეკითხე, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ ამ შემთხვევაში, მე ვგრძენი, რომ ჩემი მოვალეობაა ხელი შევუწყო ხალხთა ლიგაში შვეიცარიის შესვლას.

შვეიცარიის საქონელი.

ლიონი ივლის. 14. შვეიცარიის მთავრობამ დაადგინა ივლის. 15 რესპუბლიკის საზღვრებიდან ყოველგვარ საქონლის გატანის ნება დართოს.

ენვერ ფაშას ნიკოლაევში.

ნიკოლაევი. ივლის. 14. სტამბოლიდან ჩამოიყვანეს ახალგაზრდა ოსმალთა მეთაური, ყოფილი სამხედრო მინისტრი ენვერ ფაშა, რომელიც გერმანიის მთავრობამ, მოკავშირეთა მოთხოვნით გასცა, ენვერს სახელმწიფოებრივ ბოროტმოქმედებას აბრალებენ, ოსმალეთის ომში ჩარევას მას აბრალებენ. ენვერის გარდა დაპატიმრებულია თალათ ფაშა და რამდენიმე თვალსაჩინო ახალგაზრდა ოსმალო. სტამბოლიდან გერმანიის, ავსტრიის და ბულგარეთის ქვეშევრდომები გადაასახლეს.

უწესოება ბერლინში.

მინსკი. ივლ. 12. ვარშავის გაზ. „კორიერ-როძენი“ იუწყება, რომ ბერლინში მოძრაობა ძლიერდება, რბევის ხასიათს იღებს: ქალ. სხვა და სხვა ნაწილებში ბრბომ ებრაელთა სახლები და დუქნები დაარბიეს.

ნორვეგიის მეზღვაურები გაფიცვით იმუქრებიან

ქრისტიანია, ივლ. 9. ნორვეგიის მეზღვაურთა კავშირმა გააფრთხილა გემების მეპატრონეთა კავშირი, რომ თუ მეზღვაურების მოთხოვნილება ჯამაგირის მომატების შესახებ არ დააკმაყოფილეს, კავშირი გაფიცვას გამოაცხადებს.

აგრარული მოძრაობა პოლონეთში

მინსკი, ივლისის 12. ვარშავის გაზ. იუწყებიან, რომ სედლეცის გუბ აგრარულ ნიადაგზე მღელვარებაა, რომელიც ნამდვილი პოლიტიკურ ხასიათს ღებულობს.

საფრანგეთ ამერიკის ხელშეკრულების ტექსტი.

ჰელსინგფორსი. ივლისის 12. ჰავასის სააგენტო იუწყება იმ შეთანხმების ტექსტი, რომელიც შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთს შორის დაიდო ისეთია, როგორიც ინგლისსა და საფრანგეთს შორის შეთანხმებისა ძალაში შედის მისი რატიფიკაციის დღიდან. შეთანხმებას ხალხთა ლიგას გადასცემენ განსახილველად და ლიგის მიერ აღიარების შემდეგ შევა ძალაში. შეთანხმება შემდეგ გადაეცემა საფრანგეთის პარლამენტს და შეერთებული შტატების პალატას დასამტკიცებლად.

სულთანს სტამბოლიდან ასახლებენ.

ლიონი. ივლისის 14. შეის ულისლამმა დიდ ვეზირს შეკითხვით მიმართა, მოკავშირეთა განზრახვის შესახებ, რომ სულთანი სტამბოლიდან გადაასახლონ. ოსმალეთის სამღვდელოების უფროსმა განაცხადა, რომ სტამბოლიდან ხალიფის გადასახლება მთელ ოსმალებში აშფოთებას გამოიწვევს.

მოსკოვი ც. ა. კ. ბ. ბ. ბიულეტენი, ივლისი 15.

სამხედრო ცნობა

(ცუდი ამინდების გამო ცნობების მიღება გაძნელებულია).

სად. რუდნიცასთან ბრძოლაა: ჩვენ ვოლოჩისკი დავსტოვეთ. კამენეც-პოდოლის მიმართულებით სად იაროლიცასთან ბრძოლაა.

სამხრეთის ფრონტი.

ეკატერინოსლავის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა ეკატერინოსლავისკენ წინ წაიწია. ხარკოვის მიმართულებით ჩვენ კრასნოვუტსკი (?) დავიჭირეთ. ვორონეჟის მიმართულებით ჩვენ 300 ტყვე წამოვიყვანეთ, ხელში ჩავიგდეთ ტყვიისმფრქვევლები, თოფები, ტყვიები და სხ

ბოლშევიკების წინსვლა და ეკატერინდარის აღება

ურალსკის რაიონში მოწინააღმდეგემ ჩვენი ჯარი შეავიწროვა. ურალსკის ჩრდილო აღმოსავლეთით 100 ვერ. ბრძოლაა. სტერლიტამაკის რაიონში ჩვენ მონაციპოვკა დავიჭირეთ. ზლატოუსტის რაიონში მტრის დევნა გრძელდება. კრასნო-უფის რაიონში ჩვენ უფალინსკის ქარხანა დავიჭირეთ. ივლისის 14 ჩვენ ეკატერინბურგი დავიჭირეთ. კუნგურის რაიონში ჩვენი ჯარი ეკატერინბურგ-კუშვას რკინის გზაზე წინ მიიწევს.

ჩვენი ცხოვრების ვითარებანი.

დღეს ცხოვრების სიმძიმეს ქალაქები უფრო განიცდიან, ვიდრე სოფლები. ამ მხრივ სოფლის ხალხი უკეთეს პირობებში იმყოფება—ფული ბევრი, უფროსი არა და არც არავითარი მოთხოვნილება.

კულტურულად ჩამორჩენილი ჩვენი სოფელი გადაჭარბებული მოთხოვნილებით არასოდეს არ გვაწუხებდა და მით უმეტეს დღეს ძლიერ ცოტა ჰყოფნის მაშ და, როგორც ბავშვი, იყვირებს მაშინ, როცა ეს ცოტაც შემოაკლდება; მხოლოდ გაძლე და სიცივით ნუ მოკლავ.

საერთოდ სოფლის ხალხს აწუხებს დღეს ჭირთალეულობის უქონლობა, მხოლოდ ზოგიერთი კუთხეში, მაგ. ზემო იმერეთში, სიმინდის საჭიროებამაც იჩინა თავი.

სოფელზე სიძვირე მაინც და მაინც დიდ გავლენას არ ახდენს, რადგანაც მან უკვე იგრძნო ძალა, რომლის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალება თითქმის არც კი მოიპოვება. დღეს, როცა საზღვარ გარეთიდან არავითარი ნაწარმოები არ შემოდის და ქალაქი, ეს უმთავრესი მომამარაგებელი, სავსებით სოფლის იმედით ცხოვრობს, სოფლის ხალხი სანოვაგეზე და თავის ნაწარმოებზე არა კაპიკობით და მანეთობით, არამედ თუმნობით და რამოდენიმე თუმნობით და ისიც საათობით, უმატებს ფასს. დააწესებ ნიხრს - ბაზარზე საქონელი არ შემოვა. როგორც ქარხნის მუშებმა გაფიცვაში ისე სოფლის ხალხმა პირის მიცემაში იგრძნო ძალა—ბაზარზე ისე სწრაფათ დააწესებენ ფასს, რომ გეგონება—ამაზე დიდი ხნის თათბირი ჰქონიათო. ამაში ერთნაირი შურისძიება—ანტაგონიზმი გამოიხატება სოფლისა და ქალაქის მიმართ; მაგრამ აქ არის უფრო ღრმა მიზეზები:

პირველი. სოფლის ხალხი გავსილია ფულით, ან რისთვის არ უნდა ჰქონდეს! საპალნე ღვინოს ფასმა ორი ათას მანეთს გადააჭარბა; ფუთი სიმინდი ასი მან., კვერცხი ორი მან., სამი შაურიანი წიწილი 40-50 მან. გადასახადს არავინ იხდის და ქალაქში საყიდლათ ვერაფერს შოულობს, თორემ სიძვირეს კი არ შეუშინდება. სოფელში ხშირათ შეხვდებით ქალებს და ქალიშვილებს აბრეშუმის კაბებში, რომლის არშინი 300-400 მან. ღირს.

მეორე. ჩვენი ფულის კურსის გამწყრალი სოფელია, ის უნდობლათ უყურებს მას. როცა სოფლელი რასმეს ჰყიდის-ყიდულობს გაყიდოს თუ არა და ჰყიდის მაშინ თუ იმ ფასს მისცემ რასაც მოგთხოვს. გეუბნება „რათ მინდა, ბატონო, ეს ჩეჩქიო“. ასე უძახიან სოფლელები ჩვენს ბონებს. სოფლის ხალხი ხელში ფულს არ გააჩერებს და ცდილობს მითი რამე შეიძინოს. ამისთვის არის რომ სოფლელი უღელ ხარში ოციდან ოცდა ათი ათას მანეთამდე აძლევს და ფიცრულ სახლს დასარღვევად და გადასატანათ ჰყიდულობს 30000-40000 მან. ჩვენი მანეთის კურსი სოფლად ნახევარ კაპიკს ჩამოსცილდა.

და მესამე. სპეკულაციის ინსტიკტმა სოფელშიაც იჩინა თავი, რის გაღვივებას ხელს უწყობს ჩვენი თვითმართველობები თავისი მოქმედებით.

ჩვენს სოფლებში ნამდვილი შეგნება თავისუფლებისა არავის შეუტანია. მიტინგებზე ეუბნებოდენ რაღაც სოციალიზმზე, რომლის შინაარსი მათ ვერ გაიგეს. ეროვნულ თავისუფლებაზე პრაპაგანდა ძალიან სუსტი იყო. ან ვინ გაბედავდა, ეს რომ დღემდის „ხულიგნობა“ იყო; დარწმუნებული ვარ, რომ ამასაც თავისი შედეგი ექნება!

მახსოვს სომხეთთან ომი. გავიჭრით სოფლათ, გავმართეთ მიტინგები. შევანძრიეთ ხალხის პატრიოტული გრძნობა და მოვუწოდეთ ომში წასასვლელათ სომხეთის წინააღმდეგ. ხალხი გვიყურებდა და მის სახეზე საშინელი გაუგებრობა გამოიხატებოდა. მას ვერ გამოერკვია, თუ რომელ სიტყვებისთვის დაეჯერებინა: იმისთვის რასაც დღეს ეუბნებიან, თუ იმისთვის, რასაც გუშინ ჩასჩიჩინებდენ ქართველი, სომეხი, თათარი, სპარსელი, რუსი და სხვა-ყველა ძმები ვართო? თუ სომხეთთან ომში ხალხმა ერთსულოვანი მონაწილეობა მიიღო, ეს ერთი დღის პრაპაგანდის წყალობა არ არის. ჩვენს ხალხში არსებობს რაღაც ფარული ანტიგონიზმი სომხეთის და ოსმალეთისადმი, მაგრამ, სამწუხაროთ, სულ სხვა სურათი გადაგვეშლება რუსებთან ომის დროს. ხალხს დროზე მომზადება უნდა!

სოფლის ხალხი გაქლენთილია ცრუ ლოზუნგებით და დაპირებებით—უფასო სწავლა, უფასო წამლობა, არავითარი გადასახადი, არავითარი უფროსი და სხვა. დღეს ეს არაფერი მართლდება. ხალხს უნდა დაპირდე ის, რის გაცემაც შეგძლია, თორემ ცრუ დაპირება რეაქციის საუკეთესო საბაბია.

გარეშე ძალის მონობას მიჩვეულ ხალხს უფროსათ და ყველაფრის მცოდნეთ მხოლოდ რუსი და მისი მოხელეები მიაჩნდა და დღეს ის თავის „ამხანაგის“ უფროსობას ვერ ჰგუობს, მით უმეტეს, როცა მან კარგათ იცის მისი წარსული.

განსაკუთრებით სოფლის მოხელეებს ძალიან შერჩევა უნდა; თანამდებობის პირნი უნდა იყვნენ საზოგადოების ნდობით აღჭურვილნი, მაგრამ, სამწუხაროთ, ეს ასე არ ხდება. პარტიულ არჩევნებში ისეთი პირები მოხვდებიან ხოლმე, რომ სოფლის თვალში მთავრობას ყოველივე ნდობა ეკარგება. თითქმის არსად თანამდებობის პირნი არც ზნეობრივის და არც გონებრივის მხრით არ არიან თავის დანიშნულების სიმაღლეზე. ამას გრძნობს მოხელე, ამას გრძნობს ხალხი. მოხელე მერყეობს, მტკიცე ნაბიჯებს ვერ სდგამს თავისი უცოდინარობით, ხელს უშლის თავისი წარსული. ამას გრძობს ხალხი და ხალხი ხომ ბავშვია. ბავშვმა თუ შეატყო მასწავლებელს სისუსტე, აბუჩათ აიგდებს მას.

კაცის მოკვლა ან ქურდობისათვის რომ ვისმე დაიჭირავ, მას არ ჯერა რომ ეს კანონის ძალით ხდება. მას ვერ წარმოუდგენია, რომ ისეთივე ავაზაკობისათვის ციხეში ნამყოფი კაცი შეიძლება იქნეს კანონიერების დამცველი. მას ეს შურისძიებათ მიაჩნია და შურისძიებას ილვივებს გულში. უნდა გაიწმინდოს ადმინისტრაცია და მილიცია საეჭვო პირებისაგან.

უფროს უმცროსობის, მორიდება—თავაზიანობის და, საზოგადოთ, მორალური პრინციპები ჩვენს სოფლებში ძალიან შერყეულია. გახშირდა კაცის კვლა-ძარცვა-გლეჯა. მიდიხარ სოფლათ და ვინტოვკა—ფალასკა—მაუზერებში ჩამჯდარი ახალგაზრდობა თავისი მხეცური სახის გამომატყველებით თავზარსა გცემს. საშინელმა ომმა და რევოლიუციამ ხალხი სისხლს შეაჩვია.

ამ დროს სარწმუნოება ხალხის სვინდისზე მიადგეს. სარწმუნოების წინააღმდეგ ძლიერი პროპაგანდა იყო და არის, ყოველ პარტიულ მუშას მარქსის და არჩილ—ზდანოვიჩის დროშებით ასაფლავებენ, და თუ ჯერ კიდევ ხალხს მღვდელი – მსახურებისათვის საბოლოოდ ზურგი არ შეუქცევია—ეს იმიტომ მხოლოდ, რომ ტრადიციათაა ქცეული.

კლერიკალიზმში ნუ ჩამომერთმევა და უნდა აღვიარო, რომ თუ ქრისტეს მოძღვრებას ჯერ კიდევ თავისი დრო არ მოუჭამია და სასიცოცხლო პირი აქვს, თუ როდისმე საჭირო იყო სათნოების და მორალის განმტკიცება, უფრო საჭიროა დღეს, გადატეხის და ნგრევის ხანაში.

ჩვენი სასულიერო ისტორიის ფურცლებს ამშვენებენ პეტრიძეები, საბა ბერები, გაბრიელ ეპისკოპოსები, აღჭურვილნი მეცნიერებით, სარწმუნოების უმაღლესი შეგნებით და პატრიოტიზმით. სამწუხაროთ, დღევანდელი სამღვდელოება არ შეიძლება ჩაითვალოს ღირსეული მემკვიდრეთ თავისი შორეული წინაპრებისა. სოფლებში ხშირათ არიან გაბნეული ისეთი მღვდლები, რომელნიც სამიკიტნოებში ძმა-ბიჭებთან უბრალო ერის კაცივით ქეიფობენ, ქაღალდს თამაშობენ და სხვა საეჭვო მოქმედებაშიაც ერევიან. ზოგიერთა მღვდელმა მღვდელ-მოქმედება სპეკულიაციის საგნათ გახადა—პანაშვიდის გადახდაში და ისიც თავის მრევლში ახთევინებს სამას მანეთს.

ჩვენმა განვითარებულმა ეკლესიამ საჭიროა სამღვდელოებას დროზე მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება, სანამ ხალხი საბოლოოდ ზურგს შეიქცევდეს.

ყოველი დაწესებულების და თანამდებობის პირთა მოვალეობა—კომპეტენცია მკაფიოდ განსაზღვრული უნდა იქნეს სათანადო წესდებებით. აუცილებელი საჭიროა გრადაციის დაცვა. დაწესებულება მაშინ უნდა დაიმალოს-გაუქმდეს, როცა მისი მაგიერი მზათ არის.

რევოლიუციის პირველ დღეებშივე დაიშალა ის აწყობილი აპარატი, რომელსაც ხალხი შეჩვეული იყო და წარმოიშვა მის მაგიერათ რამოდენიმე დაწესებულება, რომლის არამც თუ კომპეტენციას, არამედ სახელებსაც ხალხი არ იცნობდა—მუშათა საბჭო, აღმასრულებელი და სხვა და სხვა კომიტეტები და კომისარიატები, რომელთაც არ ჰქონდათ არავითარი წესდება და არამც თუ ხალხმა, თვით მათში მომუშავე პირებმა არ იცოდნენ და როგორ უნდა ემოქმედნათ, ერთმანეთის კომპეტენციაში ერეოდენ და ერთმანეთის მოქმედებას აბათილებდნენ. ხალხმა არ იცოდა რომელი იყო უფროსი და რომელი უმცროსი, ვერ გაირკვია გზა და გადგა განზე, დარჩა თავისი თავის ანაბარათ, ან უარეს შემთხვევაში, ვიღაც ავანტიურისტების ხელში, რომელთაც ჩვენში ბოლშევიზმი შეიტანეს. მაგრამ ჩვენში როდი იყო იდეიური ბოლშევიზმი—ეს იყო ამბოხება-პროტესტი მთავრობის წინააღმდეგ მიმართული.

ხალხს თანდათანობითი განვითარება უნდა. ნაჩქარევ დეკრეტებით ხალხის ზნე-ჩვეულების, ტრადიციის შეცვლა შეუძლებელია. დღეს სოფლელს რომ ჰკითხო: „რომელი თვეა ახლაო“, დამცინავი ღიმილით გიპასუხებს: „ქრისტიანულათ თიბათვეა, თქვენებურად კი—ჩკათათვეო“.

ყველამ ვიცით, რომელი სტილით იუქმა თვით თბილისმა ახალი წელიწადი.

ამნაირად მთავრობამ ბევრი შეცდომა ჩაიდინა, მაგრამ ერთი უდიდესი შეცდომათ უნდა ჩაითვალოს ჩვენში სასწრაფოთ შემოღება ისეთი დაწესებულების, როგორიც ერობაა, წინდაწინვე წესდების შეუმუშავებლათ და მისი კომპეტენციის ასე გაფართოვება.

ეს იგივეა, რაც უგუნური ბავშვისათვის ცეცხლი.

ყოველი მაზრა დამოუკიდებელი ერთეულია. მთელი ძალა პოლიტიკური ეკონომიური და კულტურული ერობის, ხელშია. ყოველი მათგანი ქმნის თავის კანონებს; არ არის საერთო წესდება და მოქმედების გეგმა შემუშავებული. თავის მაზრაში თავისთავს ყოვლად შემძლე ბატონ-პატრონად გრძნობენ. გაჩნდენ „სამეფოში სამეფოები“ ხშირად უმაღლესი მთავრობის განკარგულებას არც კი ემორჩილებიან, რის მაგალითიც არა ერთხელ ყოფილა რაც ხალხის თვალში მთავრობის პრესტიჟს სცემს. აწესებენ სხვა და სხვა გადასახადებს, რუსულათ რომ ვსთქვათ „побор“-ებს. კანონიერ გადასახადებს კი ხალხს არავინ ახდევინებს და ხალხიც არ გრძნობს თავს მოვალედ, რომ სახელმწიფოს შესანახად რამე გარდაიხადოს.

აქ არის დასაწყისი თვითნებობისა და ანარქიისა.

ხალხი ის სარკეა, რომელშიდაც აშკარად და რელიეფით გამოიხატება ამა თუ იმ წესწყობილების უვარგისობა. ხალხში ეს კიდევაც გამოიხატა, მაგრამ ჩვენს მთავრობას არავითარი ნაბიჯი არ გადაუდგამს თავის შეცდომების გასასწორებლათ.

მე არ მგონია, რომ ჩვენი მთავრობა გაუსწორებელი იყოს. აქ სხვა მიზეზი უნდა ვეძიოთ.

ძველ რეჟიმის დროს მაზრის უფროსები და გუბერნატორები უგზავნიდენ თავიანთ უფროსებს მოხსენებებს და არწმუნებდენ, რომ „все обстоитъ благополучно“.

დღეს იგივე მეორდება. ჩვენს პარტიულ მთავრობას თავისი პარტიული მომუშავენი არწმუნებენ, რომ ყველაფერი კარგათ მიდის.

ვის არ ახსოვს რევოლიუციის პირველ დღეებში თბილისში მომხდარი გლეხთა ყრილობა, სადაც ყველანი იყვნენ, გარდა გლეხებისა და სადაც ერთხმად მიიღეს სოციალ-დემოკრატების მიერ პროგრამის ძალით შემუშავებული რეზოლიუცია, რომ ჩვენ საკუთრება არ გვინდა და მომხრენი ვართ მიწის მუნიციპალიზაციისაო. მაგრამ სინამდვილემ სულ სხვა რეზოლიუცია გამოიტანა.

მთავრობა ვალდებულია ხალხის ხმას და მოწინააღმდეგე პარტიების კრიტიკას ყურადღებით მოეპყრას. თვალს ნუ აიხვევს იმით, რომ არჩევნებში ამდენი ხმა მიიღო.

საჭიროა შევიტანოთ სოფელში ნამდვილი შეგნება დემოკრატიზმისა და ერთობისა. დღეს სოფელი უინტელიგენტოთაა დარჩენილი, იმ საშუალო ინტელიგენციამაც მიატოვა, რომელიც წინათ სოფელს ჰყავდა. მხოლოდ არჩევნების წინ ესტუმრებიან „კაზიონი“ პროპაგანდისტები თავიანთი ლოზუნგებით. მათ დანახვაზე ხალხი ამბობს „ეჰ, ძმაო, შენ ჩამოსულხარ კენჭის წასაღებათ; ჰა, ეს იხერი კენჭიც წაიღე, მომშორდი თავიდანაო“!

დღეს ხალხი ნამდვილი ეგოისტია.

სამეგრელოში, მახსოვს და არც ისე შორს იყო ის დრო, ყანაზე ერთ კაცს მარტო მომუშავეს იშვიათად შეხვდებოდი; ახლა გაიარო 20—30 ვერსი და ორ კაცს ერთად ვერ ხედავ.

სად არის ახლა ძველებური ნადის გუგუნი საღამო ჟამს ნადურს რომ შემოსძახებდნენ!

გინდა გამოარკვიო ამის მიზეზი, ეკითხები გლეხს და მისგან ღებულობ ასეთ დაცინვით-ლაკონიურ პასუხს: „ჩვენ, ბატონო, ერთობის ხანა უკვე გავიარეთ, ახლა სხვა დრო დადგაო“!

ეს პასუხი დამაფიქრებელია.

აი ნაყოფი ჩვენი უმგვანი პრაპაგანდისა!

მ. გვალია.

ქართველობა

ყოველდღე მომდის „ერთობა“, „საქართველო“, „სახალხო გაზეთი“, „სალი კლდე“ და სხ. ვკითხულობ და ვამაყობ, რომ ვარ ქართველი.

ყოველდღე ჩუღურეთიდამ ვაკემდე დავიარები, გარშემო მესმის წელში გამართულ ქართველების ტკბილი ქართული, თავი მომწონს ჩემის ქართველობით.

ხშირად ვხვდები წინანდელ ჩვენ ბატონებს, რომელნიც თავმოკატუნებით და პირფერობით აქებენ ჩვენს მთავრობას, წესწყობილებას, ქართველთ სიგმირეს, ხოლო გულში კი სურთ თქვან, რა ბეჩავები არიანო რუსეთისაგან გამოყოფილი ქართველები, ესეც ყოველი უმეტეს მამხნევებს, ვთქვა: მეც ამ „ბეჩავ“ ქართველობას ვეკუთვნიო.

გაიძვერების პირით მესმის რაღაც უკუღმართი ცნობები შესახებ „მეგრელთ“ „აფხაზების“, აჭარლების „განდგომილობისა“, მესხთ „ორგულობისა“, ლეჩხუმელთ „განცალკევებისა“ და ვკვირობ, ნუთუ სადმე ჩვენში კიდევ მოიპოვება ისეთი ბეჩრეკი, რომ ახალ გაერთიანებულ საქართველოს დროშას თავი არ მოუხაროს რა წრფელის წმინდა გულით არ ღაღადყოს: მე ჭეშმარიტი ქართველი ვარ და არა ინგილო, ქიზიყელი, თუში, ხევსური, კახელი, ქართლელი, იმერი, რაჭველი, სვანი, მეგრელი, აჭარელი, მესხი ან გურული. ყველანი ქართლოსიანები ვართ. ყველას გვესმის ქართული. ყველანი ღვიძლი ძმები ვართ სისხლით, ჩამომავლობით, ისტორიით, გადმოცემით.

გადავხედავ ჩვენს რუკას, მაჩვენებს კლარჯეთს, ლაზისტანს, მესხეთს, ქართლ-კახეთს, იმერეთს, სამეგრელოს, აფხაზეთს, გურიას და მთელს კი საქართველოს, ბაგრატ Ш-ის გაერთიანებულ იმპერიას, სადაც არ იყო კერძო მისადევრის კაცი, არამედ ყველგან მხოლოდ ქართველი, და ისევ მეღვიძება ჩემი ეროვნული სიამაყე, რომ ვარ მარტო ქართველი.

ვკითხულობ ძველ მატიანეებს, დიდ მგოსნებს და მწერლებს, ყველგან ვხედავ, რომ განცალკევების დროსაც კი ყველა მისადევრის კაცი გრძნობდა თავს ქართველად, ყველას ანბანი ერთი იყო, ყველას საერთო მეტყველება განუყოფელი იყო, ყველა ერთნაირ ქართლურ სწორმეტყველებით სწერდა და მსჯელობდა, თვით სალაშქროდაც კი იკრიფებოდნენ ერთად დიდუბეს კახი ფარ-შუბით, თუში ხმლით, ფშავი, ხევსური აბჯარით, მკლავით ძლიერით ქართველი ვით ციხე-ბურჯი მაგარი, ოსი ფეხმარდი, მთიული ბრძოლაში შეუპოვარი, მესხი სწავლით ქებული, გმირი იმერი ზრდილობით და მშვილდოსნობით აფხაზი, გურულ-სვან-მეგრი „კვირცხლობით“ ყველა ამასაც გონების თვალს რომ გადავავლებ, ისევ ვამაყობ, რომ ვარ მხოლოდ ქართველი.

ვსწავლობ ჩვენ უმდიდრეს მუზეუმების უძვირფასეს ტყავზე ნაწერ წიგნებს. ამ ნამუშევრებს მეგრელ-იმერ-აჭარ-მესხ-ქართლ-კახელისას და ვერსად კი ვერ ვარჩევ დამწერის, მთარგმნელის თუ გადამწერის მისადევრობას, მეგრელობას, სვანობას, მესხობას, იმერ-ამერობას; ოღონდ აღნიშნავენ, გადავწერეო, ცაგერს, ქუთაისს, გელათს, ცაიშს, შემოქმედს, წყაროსთავს, მცხეთას, ალავერდს და სხ. არვინ ამბობს, ვარო კახელი, ქართლელი, იმერი, მეგრელი და სხ., არამედ ყველა პატარაიები, ბორგაიები თავის თავს არ განასხვავებენ დანარჩენ ქართველებისაგან. ვხედავ ამას შორეულ საინგილოს შვილი და მენუკება, რომ მეც დავბადებულვარ ქართველად.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის წმინდა დროშამ გაგვაერთიანა ისე, როგორც ერთ დროს ბაგრატ მესამემ, აღმაშენებელმა, თამარმა, გიორგი ბრწყინვალემ. ამის მხილველის წინ როგორ არ უნდა დაილიოს ყოველი კერძოობა, ყოველი „აზნაურობა“, ყოველი „მაფალუობა“, ყოველი „აჭარლობა“, „მესხობა“, „სვანობა“, „ინგილობა“ და სხ. ისტორიის მსვლელობაში არ ყოფილა ესეთები და არც უნდა იყოს, არც უნდა შევქმნათ. არსებობდა ერთად-ერთი მაფალუობა ქართული, არსებობდა ერთად-ერთი იერი, ისევ ქართველი, არსებობდა ერთად-ერთი ღვიძლი ენა, კვლავ ქართული, არსებობდა ერთად-ერთი გასაგები და უძლიერესი კულტურა, ისევ ქართული. არსად სჩანს დანაწილებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურა მეგრელთა, კახთა, სვანთა კლარჯთა, მესხთა, იმერ-ამერთა, არამედ მხოლოდ ქართული. ყოველი ნაშთი დაწერილია ქართულის ენით, ყოველი ძეგლი დადგმულია ქართველის ხელით, ყოველს ძეგლზე მხოლოდ ქართული წარწერებია და ქართული ფრესკები. სად არის აქ საზღო კერძო მაფალუებისა, კერძო აშორდიობისა, კერძო მისადევრობისა! არსად, სრულიად არსად. თვით უენო ქვანიც კი ღაღადებენ ჩვენ ყველას საერთო განუყრელ და განუყოფელ ქართველობას.

უკუღმართობის დევიზმა divide et impera“-მ თუ დაბადა აშორდიობა, სახარების გაწყობა მისადევრის „ენაზე“, ეს იმიტომ, რომ დაყოფით თვითონ იმ დევიზის პატრონს ებატონა და განცალკავებულები გზიანად ეხრაკა მხურვალე ტაფაზე. და ჩვენ დღეს, როდესაც ჩვენი თავი ჩვენვე გვეკუთვნის და ჩვენვე გვეყუდნის, რაღ-ღა უნდა ვებღაუჭოთ იმ ჩვენ მტრების დევიზს, რატომ ზიზღით არ უნდა შევუქციოთ პირი ჩვენ გამთიშველთა მზაკვრულ ოინებს.

არ უნდა ვიზვიადებდეთ თავს, თუ ჩვენის მისადევრების კილოკავებში, გინდ „ივერიულ მეგრულ ენაში“ შენახულა რამ თვალსაჩინო, ვინაითგან თვით ეს თვალსაჩინოც კუთვნილებაა ყველა ქართველობისა, ქართულ კულტურისა.

მე ერთხელ კიდეც გამოვთქვი და ახლაც ვიმეორებ, რომ ყოველი კერძო, სამისადევრო გამოსვლები დღეიდგან უნდა მოისპოს სამუდამოდ, აღარ უნდა დაშთეს საზოგინოდ თვით ისეთი სახელებიც კი, ვით ინგილო, თუში, სვანი, მეგრელი და სხვ. არამედ ჩვენი შინა-წყლის მთელი ზედაპირი დაიყოს ისე, რომ ყველგან სჩანდეს მხოლოდ და მარტოკა ქართველი და მისი საკულტურო „მაფალუები“. განცალკავება მშლელია, მძაბუნებელი, ერთობა კი სასწაულების მოქმედნი, თქმულა. ერთობამან განხეთქოს მთა და გორია. კერძოობა სულ მიივიწყეთ, თუ გულით გსურთ დასტკბეთ რიჟრაჟა თავისუფლებით...

მ. ჯანაშვილი.

უცხოეთის ამბები

ჟურნალ-გაზეთებიდან.

შერიფ ფაშის განცხადება.

გაზ. „აშხატავორი“ ჩვენთვის უცნობ წყაროებიდან იტყობინება: „პარიზში მყოფ შერიფ ფაშას ვრცელი მემორანდუმი მიურთმევია პარიზის კონფერენციისთვის, რომელშიც ამტკიცებს ქურთების მოთხოვნილების სიმართლეს: თანახმად მემორანდუმისა ქურთისტანის საზღვრები ეტნოგრაფიულ თვალსაზრისით ასეთია: ჩრდილოეთით—იწყება ზივანიდან დასავლეთით კი ერზერუმიდან ერზინჯან, ქემახ, არაპკირ, ბეჰესნი, დივრიკ; სამხრეთის მხარეს—ჰარან—სინჯიჰარ გორაკებიდან თელ ასფარ, ერბილ, ქურქიუნქ, სულეიმანიე, აქე-მან, სინნა; აღმოსავლეთით—რევანდუზიდან ბაშკალე, ვეზირ ყალე, ე. ი. ასურეთის არარატის მთამდე.

ამ მემორანდუმის გამო შერიფ-ფაშის გამოუცხადებია „მონიტორის“ კორესპონდენტისთვის, რომ უკეთუ მოთხოვნილ ტერიტორიის რომელიმე ნაწილი მიეცემა სომხებს, ქურთები შეუბრალებელ ბრძოლას დაიწყებენ მათ წინააღმდეგ და ქურთის ტანში მოსახლე სომხობას ხოცვას დაუწყებენ:

ვენიზელოსი და იზმირის სომხები.

ბერძენთაგან იზმირის დაკავების გამო ადგილობრივ სომეხთა ეროვნულ საბჭოს დეპეშაზე ვენიზელოს შემდეგი დეპეშით უპასუხნია:

„იზმირის სომეხთა საზოგადოების დიდათ მადლობელი ვარ თქვენი მოლოცვისთვის. დარწმუნებული ვარ, რომ იზმირის დაჭერა ბერძნების მიერ სომეხთათვის გადაიქცევა თავისუფლობის და განვითარების ერთი ახალ ხანად. („აშხ.“)

ოსმალეთის დამნაშავეთა საკითხი ინგლისის პალატაში.

ინგლისის თემთა პალატაში ერთმა დეპუტატმა შეკითხვა შეიტანა იცის ამ მთავრობამ სად არიან ენვერი, თალაატი და სხვა დამნაშავენი სომხობის ჟლეტაში. მთავრობის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ დღემდე მათ ცნობები არ მიუღიათ თუ დამნაშავენი სად არიან, მაგრამ ინგლისის მთავრობას არ ძალუძს დაუსჯელად დატოვოს იგინი და ზავის ხელშეკრულებაში უსაცილოდ უნდა ჩაეწეროს ერთი მუხლი, რომლის ძალით დასჯილ იქნება დამნაშავე ჯგუფი.

ოსმალეთის საკითხი.

„მონიტორის“ ცნობების თანახმად ოსმალეთის საკითხი მკათათვის ნახევარზე ადრე არ შეიძლება გადასწყდეს ოსმალეთში გაგზავნილი ამერიკული და საერთაშორისო კომისიები ამ ხანამდე ძლივს ჩავიდნენ პარიზის კონფერენციაზე. ოსმალეთის დელეგაციამ, იმავე ცნობების თანახმად უნდა აღიაროს ორი ქვეყნის,—სომხეთის და არაბეთის —დამოუკიდებლობა.

ინჟენერების გაგზავნა სომხეთში.

პარიზიდან სომხეთში გაიგზავნა ამერიკულ ინჟინერთა მიერ შემდგარი კომისსია სომხეთის მეცნიერულ გამოკვლევისათვის. („აშხატ.“)

შავ ზღვაზე მიმოსვლა

როგორც ოდესის გაზეთები სწერენ საბჭოთა ადგილობრივ მთავრობამ გამოაცხადა, რომ შავ ზღვაზე მიმოსვლა (სამგზავრო და საბარგო გემების) დაიწყოო. ადგილობრივ საბჭოთა მთავრობასა და საფრანგეთის სარდლობის შორის მოხდა შეთანხმება, რომელიც ნებას აძლევს აფრიან გემებს დაუბრკოლებლივ იარონ ოდესის და სხვა ქალაქების პორტებში. ეს განცხადება საბჭოთა მთავრობამ მკათათვის 5-ს გამოსცა.

ერცბერგერის წერილი.

როსტოვის „ჟიზნი“ ათავსებს დონის დეპეშათა სააგენტოს შემდეგ ცნობას:

„ამერიკის გაზეთ „ჩიკაგო ტრიბუნა“-ში დაბეჭდილია ერცბერგერის შემდეგი წერილი:

„გერმანიას უნდა ახსოვდეს რომ დღევანდელი ომი არის მხოლოდ ერთი ეპიზოდი იმ ბრძოლისა რომელსაც ანგლო-საქსები აწარმოებენ მსოფლიო ბატონობის მოსაპოებლად. ინგლისელები, ჩვენი დაუძინებელი მტრები, თუმცა ამ ომში უფრო გაძლიერებული გამოვიდნენ, მაგრამ უსაფრანგეთოდ ინგლისი კონტინენტზე არარას წარმოადგენს, საფრანგეთი კი ჩვენ ისე დავასუსტეთ, რომ იგი ძნელად თუ მობრუნდება. ჩვენ გვჭირია ეხლა ლატვია და უკრაინა, რომლებიც გერმანიის ავანპოსტად გახდებიან. პოლონეთი უნდა პასიური გავხადოთ და ამით რუსეთის გასაღები ხელთ გვექნება. პოლონეთის აღმოსავლეთით ისეთივე მნიშვნელობა აქვს როგორც დასავ. საფრანგეთს, რომელიც ქვაკუთხედია ინგლისის ძლიერებისა. თუ ამ საფრთხეს ჩვენ მოვიშორებთ ამით გერმანია ბევრს მოიგებს და საფრანგეთი კი დაიწყებს უფრო მეტის სისწრაფით დასუსტებას ასე რომ 10—15 წლის შემდგომ ჩვენ შევსძლებთ საფრანგეთს გაუმკლავდეთ, პარიზზე გალაშქრება უფრო გაგვიადვილდება ვიდრე 1917 წ. და კონტინენტი ჩვენსკენ დარჩება.

ახალი რკინის გზები

როსტოვის გაზ. „ჟიზნი“ იტყობინებინება:

ინგლისელებს მრავალი რკინის გზა გაჰყავთ, რასაც დიდი მნიშვნელობა ექნება სპარსეთში ინგლისის საქონლის ექსპორტისათვის. ჯერ ჯერობით დაწყებულია რკინის გზების გაყვანა 1) ხანკეკენ-ჰამადან-თავრიზში 2) სიუქთანაბად თეინანს შორის 3) თეირან ისპაჰანს შორის ეს უკანასკნელი რკინის გზა უკვე გაყვანილია.

კონსტანტინოპოლ-ბაღდადის რკინისგზის გაყვანით სპარსეთი; მესოპოტამია და ოსმალეთი ისევ ერთმანეთს დაუკავშირდებიან და ბაღდადს მიეცემა ისეთივე მნიშვნელობა როგორც ძველად ჰქონდა.

ეროვნული დღესასწაული ინგლისში.

ლონდონიდან მოსული ცნობით მკათათვის 19-ს იქ გაიმართება დიდი ეროვნული დღესასწაული. ლონდონზე გაივლის 18 ათასი კაცი, რომელნიც გამოჰხატავენ ბრიტანეთის ძალას, ვაჭრობას, ზღვაოსნობას და სამფლობელოთა სიძლიერეს. საღამოს მთელი ლონდონი განათებული იქნება შუშხუნებით.

გაფიცვები საფრანგეთში.

როგორც კავკასიაში მყოფი მოკავშირეთა მისია იტყობინება, საფრანგეთის რკინის გზებზე გაფიცვის გამო ყველა მოსამსახურეთ გამოეცხადა, რომ თუ გაფიცვას არ შესწყვეტენ გადაეცემიან სამხედრო მთავრობას, ხოლო ის მოსამსახურენი, რომელნიც ზეგარაში არიან, პირდაპირ სამხედრო სასამართლოში მიიცემიან.

გვირაბი ლამანშის ქვეშ

ლამანშის ქვეშ გვირაბის გამყვან კომისიის კრებაზე სერ ბულმა განაცხადა, რომ ყველაფერი მზად არის: გადასახადები აკრეფილია, ინჟენრები დანიშნულია და ეხლა მხოლოდ ფინანსების უქონლობა გვაფერხებსო. კომისიამ გადასწყვიტა სთხოვოს მთავრობას დახმარება და გვირაბის გაყვანა დაიწყოს.

კოლჩაკის წარმომადგენელი ინგლისში.

კონსტანტინოპოლის გაზეთის ცნობით კოლჩაკის წარმომადგენელი ლონდონში, საზონოვი, მოლაპარაკებას აწარმოებს ბრიტანეთის მთავრობასთან, იმის შესახებ, რომ რუსეთის მეფესთან დადებული ხელშეკრულებანი ძალაში დარჩეს. ომსკის მთავრობა დაეთანხმება იმაზე, რომ კონსტანტინოპოლი, სრუტეები მცირე აზიის ნაწილი დარჩეს ისევ ოსმალეთს.

პროვინციიდან

სართიჭალის თემი.

28 თიბათვეს, თბილისის მაზრის ერობამ ყველა თემებში დაგზავნა თავისი რწმუნებულები, რომელთა რიცხვში მეც გახლდით და დაგვავალა შედგენა იმ სოფლების სიისა, რომელიც ბუნების ავ-მოვლენით იქმნა დაზარალებული (სეტყვისგან ქარებისგან და სხვ.), ამასთან ერთად საფონდო მოწყობიდან შემოსავლის 1 მეათედის აკრება. მე დამნიშნეს სართიჭალის რაიონში, სადაც მისვლისთანავე მოვიწვიე სოფლის ამორჩეული კაცები და აუხსენი ჩემი მისვლის მიზეზი. მათი პირველი სიტყვა იყო „შიმშილი“, რასაც მე არ უჯერებდი და ვფიქრობდი, რომ ეს ხომ ჩვენი გლეხის ჩვეულებრივი ჩივილია მეთქი, მაგრამ მოვსტყუვდი. მათი ჩივილი, თურმე სამართლიანი იყო.

არც ერთ სოფელში პური არ იშოვებოდა. მე, რომ შიმშილმა შემაწუხა რის ვაი-ვაგლახით მთელ სოფელში მხოლოდ ერთი მეორედი გირვ. პური ვიშოვე, რაშიაც გადამახდევინეს 5 მანეთი სოფ. უჯარმაში კი, როდესაც ერთ ბალღს მივმართე თხოვნით ერთი გირვანქა პური ეყიდნა ჩემთვის, მან მიპასუხა; გირვანქა პური 8 მან. ღირს, გიყიდი, თუ 4 მან. მაჩუქებო, იმის პასუხმა გამაოცა და საყვედურის კილოთი უთხარი: ორნაბიჯზედ მისასვლელად რად გინდა ფული მეთქი.—მაგით წავალ და ურიებს, რომ მჭადი დააქვთ, ერთ გირვანქას ვიყიდიო. ეს რომ მითხრა მაშინ კი მივხვდი ბალღის გულის პასუხს და აღარ გავკიცხე. სოფელი ძუნწი არ არის ეს ყველამ ვიცით. მას რომ პური ჰქონდეს, თუ არ მოგთავაზა უსასყიდლოთ, ყიდვით მაინც არ დაგიჭერს, მაშასადამე სოფელი უპუროდ ყოფილა.

მე, ამორჩეულ კაცებთან ერთად ადგილობრივ დავათვალიერე სართიჭალის თემის მინდვრები და ვენახები, სადაც დავრწმუნდი, რომ თუმცა სოფელი ეხლა მშიერია ღვთის მადლით ამ წელს მაინც ხელს ექნება მოსავალი. დასეტყვილია მხოლოდ ხაშმის ვენახები, რის გამობრუნებაც მეტად ძნელია. ორი წლის შემდეგ ვაზი ძლივს გამოიტანს საყურძნე რქას და მანამდისინ ხაშმელები გულზე ხელებ დაკრეფილნი უნდა ელოდნენ, რადგანაც ხაშმი მხოლოდ ვენახებით ცხოვრობს, დასეტყვილია აგრეთვე მარიენფელდის მინდვრები (გერმანელების ახალშენი) მხოლოდ რაც დაუთესიათ მარტო იმასღა აინაზღაურებენ, ასე რომ მარიენფელდი, როგორც ამ ჟამად, ისე მერმისაც მშიერი უნდა დარჩეს. სართიჭალის მინდვრებში მოდებულია მწერი ბოგანო, რომელიც ყანას ეკრობა, მაღლა ადის და მარცვალს აფუჩებს. ამ მოსავლისთვის ჯერჯერობით არავითარი ზარალი არ მიუყენებია, რადგანაც ყანაზე ასვლა ვერ მოუსწრია. თუ მაზრის ერობამ დროზედ სათანადო ზომები არ მიიღო ბოგანოს წინააღმდეგ, მომავალში დიდათ ავნებს მოსავალს.

„საწყალ კაცს ქვა აღმართში მოეწევაო“ ეს ანდაზა თითქმის ამ ულუკმა პუროდ დარჩენილ ხალხზედა თქმულა. ყველგან შიმშილზედ ტირიან, ვაი-ვიში და ამ უბედურ დროს ყაჩაღობაც არის გავრცელებული. თავახსნილი ყარაიაზელი თათრები თავს ესხმიან მინდვრად გასულ ხალხს, სძარცვავენ და საქონელსაც ერეკებიან. მაგალითად, 4 მკათათვეს პატარძეულის მინდორზედ მომუშავე ხალხს დაეცნენ შეიარაღებული თათრები, წაასხეს საქონელი და მძიმედ დასჭრეს ერთი მოხუცი პატარძეულელი ვასილა მარხვაშვილი, რომელიც მეორე დღეს თბილისში იქმნა გამოგზავნილი.

სოფ. სართიჭალაში ჩემ ყოფნის დროს მოხდა კიდევ ერთი გულშემზარავი ინციდენტი: სართიჭალის თემის კომისარი საქმეებზე იყო სხვა სოფელში წასული. იმ დღეს მილიციონერებმა დაიჭირეს სამი ახალგაზრდა უჯარმელი რომელთაც ბრალდებოდათ უჯარმაშივე დუქნის გატეხვა. დაჭერილები ჩამოიყვანეს სართიჭალაში და კომისარის მოსვლას და მის განკარგულებას ელოდენ. სწორედ ამ დღეს სართიჭალის თემის კომისრის კანცელარიაში შეიარა ივრის თემის თავმჯდომარემ ბ-მა ივანე მაისურაძემ; როგორც თემის თავმჯდომარემ რა შეიტყო მათი დაჭერის მიზეზი მისდგომოდა და ისე ულმერთოთ ეცემა ხელით და ნალებ დაკრულ ჩექმებით რომ სახე და მთელი ტანი დალურჯებინა და სიკვდილის პირას მიეყენებინა. ხალხი და მილიციონერები ძალიან აღშფოთებული იყვნენ თავმჯდომარის ასეთი უღირსი საქციელით. უმალ მოიწვიეს ერობის ექიმი ბ-ნი ალექსნიძე რათა გაესინჯა ნაცემები და შეედგინა სათანადო მოწმობა. მე და ალექსნიძე ექიმმა ერთად ვინახულეთ; რა სურათიც ჩვენ იქ ვიხილეთ ძნელია აწერა: სახე და ტანი სულ ლურჯათ ქცეოდათ. აქა-იქ ეჯდათ ფეხის ნალის ნიშნები. მესამე მეტად ნაცემი იყო. ასე რომ ექიმმა გამოსთქვა თავისი აზრი რომ შეიძლება ვერ აიტანოს და მოკვდესო.

კარგი იქნებოდა თბილისის მაზრის ერობა ამისთანა თავმჯდომარეებს როგორც ბ-ნი მაისურაძეა, ჯერ კარგ ნატაციას წაუკითხავდეს და ეტყოდეს რომ იგი ინიშნება თემის წინამძღოლად ხალხში და არა მხეცებში და მერე თავმჯდომარეობას მიანიჭებდეს.

თბილისის მაზრის ერობის რწმუნებული კ. რატიშვილი.

საექიმო კაბინეტი
ექ. ა. ტუჟულაშვილისა
მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ და სხვა გვარ სნეულებანი ავათმყოფები სასქესო და საშარდე ორგანოთ (606 და 914 წამლობა) მიხეილის სა ავათმყოფოსთან, ფოსტის ახლოს პლეხანოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1 ქუჩების კუთხე საღამოს 6—7 ნახევარ
საათ 25—2536—1

ბ. ვ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა, ელექსი გულისა. იღებს ახალ რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და [illegible] თბილი ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 4—1
7—92.

სამკურნალო კაბინეტი ექიმის
[illegible]
[illegible]
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—26.

ტრფობა წამებული

(ისტორიული რომანი)

63.

უცდიდა წინამძღვარი შედეგს მოძღვრის მოქმედებისას, მოთმინებით ელოდდა მას იმისი ჰაზრით თითონ ხუცესს უნდა მიეთვალა მისთვის დაწვრილებით, რა მოიმოქმედა მან მიჩემებულ დავალებით ან რა შედეგებს აღუთქვამდა მისგან შესრულებული მოქმედება. გაიარა საკმაო დრომ, ხუცესი კი სდუმდა მკაცრის დუმილით. ერიდებოდა კიდეც წინამძღვარს, ხოლო უნებლიეთ შეხვედრისას უკიათად გზას უქცევდა საფრთხილო საგანზედ საუბარს აშოტის ქცევასაც უნდა დასტყობოდა კვალი მღვდელ-მონაზონის მოქმედებისა, მის ურთიერთობას თუ დამოკიდებულობას იმ დედაკაცთან. ამის შემჩნევა ადვილი იყო: თებრონია განუწყვეტლად ათვალიერებდა ეხლა სასახლის ამ მხრივ ყოფას, იქაური ცხოვრების ბოროტად რყევას თუ სასიკეთოდ ფერის ცვალებას. თითონაც ხშირად ეახლებოდა გურანდუხტს, სანდო ადამიანიცა ჰყავნდა მიჩენილი დედოფლის მხლებელთაგანი. ამ მხრითაც თვალსაჩინო რამ ცვლილება არა სჩანდა, ყოველივე წინანდებურად სადენზედ მიდიოდა. დაელია მოთმინება ხასიათ გაკაჟებულ დაყუდებულსაც და პირდაპირ მიმართა ხუცესს:

— აასრულე სურვილი ეკლესიისა აშოტის და მოძღვრის შესახებ, შვილო ჩემო საყვარელო?

— აღვასრულე, ღირსო მამაო!

— რად არ მამცნებ, რავდენად ძლიერ იყო გავლენა კურთხეულის სიტყვისა მასზედ? ან რა შეატყე: ნუ თუ ისე ძლიერია მასში მოქმედი ზნამი მრუშობისა? ეშმაკის შთაგონებით გეუბნა, თუ მადლი სულისა წმიდისა აწარმოებდა მის სიტყვას?

— აღარ ვუწყი, მამაო წმიდაო! აღსარება მყისვე მავიწყდების, რა მივუტევებ ცოდვას სახელთა იესოსი და ვილოცავ ცოდვილისათვის; მთლად დამცილდების ყოველივე აღიარებული.

მიჰხვდა მოღვაწე, რომ უხერხულად შეეხო საიდუმლოთ გულებულ საგანს; აწ ხუცესს ვეღარაფერს ათქმევინებდა ამის შესახებ, და სხვა სავალს დაადგა გამოცდილი.

— ნაყოფისაგან კეთილისა იცნობების ხეი კეთილი! შენი გავლენა შენს სულიერ შვილზედ აისახება მისი ცხოვრების კეთილად შეცვლაში: დაწყნარდება ოჯახი დიდებული, სულიერ სიმშვიდეს მოიპოვებს მხევალი ღვთისა, ქართველთა დედა კეთილმორწმუნე

— ღმერთმა ინებოს, ღირსო მამაო! მეუფე სახიერი დასაბამია ყოვლის კეთილისა და თვით სიყვარულისა კაცთა შორის.

— კეთილი სიყვარულისა, ძმაო ჩემო ქრისტეს მიერ.

— განა არის ქვეყანაზედ სიყვარული ბოროტი?! ვით ეზიარების ბოროტი ბნელი სიყვარულს ნათელს?!

— ილოცე, ძმაო ჩემო, საყვარელო, გული წმიდა დაბადოს შენთანა ღმერთმა და სული წრფელი განგიახლოს გვამსა შენსა!

— ამინ! მიუგო ბერმა და ემთხვია წმიდანს.

მოძღვარმა ხერხიანად მიჰმართა თავის დიდებულ სულიერ შვილს აღსარების დროს, შესძლო გაეღო გულის ბჭე ცხრაკლიტულით დახშულ-დაბეჭდილი, სადაც უკვდავების ცვარივით ინახავდა აშოტი თავის ობოლ სიყვარულს. ყველაფერი გულწრფელად აუწყა მან მოძღვარს. მისი სულიერი მამა ბერი არ იყო პირველიდგანვე, იმასაც მოეკრიბნათ ოდესმე ფურცელი სიყვარულისა მზის სხივისაგან შეფერილ-აელვარებული, იმანაც გამოცდილებით იცოდა, როგორ უწყალოდ ისერება ადამიანის გული ტრფობისაგან ალმას გაკრული, რა ძნელია, რა შეუძლებელია მოყვარულისაგან სატრფოს დათმობა, თუნდაც წამიერად მისი განშორება, და სავსებით მიჰხვდა ქალისაგან ტყვექმნილ ბუმბერაზის გულისთქმას. სიცოცხლედ უღირდა აშოტს შუქური, მისი სული დღეს შუქიას პაწანა ხელში იყო მოთავსებული, შუქურს ის თავის მეფურ ძალას შესწირავდა წარბშეუხრელად, როგორც შესწირა სამფსონმა თავისი თილისმა თმა ლამაზ დალილას; თვის სიცოცხლესაც მიუზღვნიდა დაუფიქრებლივ: მხოლოდ მის მიერ სცხოვრობდა დღეს ეს გმირთა-გმირი. მიხვდა ნაწრთობი მოძღვარი, რომ შუქურის დაშორებით. მზის შუქი დაჰშორდებოდა ვაჟკაცს; ვეღარ გამოადგებოდა წყვდიადში მყოფი ვეღარც თავის-თავს, ვეღარც ოჯახს, ვერც სახელმწიფოს. და... მიუტევა შეცოდებათ. ხოლო შურით ტანჯულ დედოფლისათვის მხურვალე ლოცვა აღავლინა სახიერისადმი, შესთხოვა ენუგეშებინა იგი მას ამ განსაცდელში, მიეცა მისთვის მოთმინება მძლედ შემმართებელი.

— იქნება ვისუსტე აღსარების დროს, გრძნობას ავყევი, ვუღალატე მოვალეობას?! არ ვიცი! ის კი მახსოვს, მთლად გულწრფელად ვმოქმედებდი, არავითარი შიში თუ ლიქნი არა სჩრდილავდა იმ ჟამს ჩემს რწმენას თუ მსჯელობას, ჩემს ლოცვას ზეამაღლებულს, ამბობდა ხუცესი.

და უკვირდა, რომ ქალ-ვაჟის იგი ურთიერთობა შორიდან შეხედვით მრუშობა იყო უშვერი, ხოლო ახლო დახედვით მიჯნურობა იყო ზეცით ნაკურთხი, მზიური ტრფიალი მხოლოდ უდროვოდ და უადგილოდ აღმოცენებული.

— აკი დავსდევ კიდეც მას ამ უჟამობისათვის სასჯელი სულიერი და მსწრაფლ აღასრულა იგი მან, იმართლებდა მოძღვარი თავს თავისავე წინ.

ესე არ შეეძლოთ მსჯელობა სხვებს, სჯულისა თუ წეს-წყობილების უმთავრეს მცველებს და დარაჯებს. არცა ფიქრობდნენ ისინი ამნაირად. სამღთო წესი დარღვეული იყო, მამაპაპათა ჩვეულება უარყოფილი, ოჯახის სიწმიდე შეგინებული და ყოველივე ეს უნდა მსწრაფლ მოსპობილიყო, ძირიანად ამოფხვრილიყო; თუ არა, უნდა მოსპობილიყვნენ თვით წესის მრღვეველნი. სხვა გზა არ არსებობდა მათთვის, მოსავლელი რამ ბილიკი. ეკლესია გუშაგად ედგა სარწმუნოებას და მისგან დაკანონებულ ზნეობას, ის ვერ დასთმობდა წმიდა საიდუმლოს შემღვრევას, ყოველ ზომებს მიიღებდა მის რღვევის წინააღმდეგ; მოჰკვეთდა კიდეც გაჭირებაში თვით დამნაშავეთ, ძირიანად აღმოფხვრიდა მათ თუნდაც ცეცხლით. ყოველი ხეხილი, რომელი გამოიღებს ნაყოფს ხენეშს, მოკვეთილ იქმნების და ცეცხლს დაიდების; მისთვის ძევს ცული ლესილი ძირსა ხისასა.

ჯერ კი ნაადრეველი იყო მოკვეთაზედ თუ ამოფხვრაზედ საუბარი; ჯერ არც ცეცხლის გამოვლენა იყო წმიდაწმიდათაგან საჭირო, მწველი ალისა, რომელმა ოდესმე ათასობით მოსპო წინააღმდეგნი, რომელმან მრავალჯერ სასტიკად დასაჯა მცნებათა უარმყოფელნი. ჯერ მარტო პირველი ნაბიჯი იყო ამ გზაზედ გადადგმული: მხოლოდ ამხილა ეკლესიამ შემცოდე შვილთა კერძოდ, პირისპირ, მსახური ეკლესიისა უცდიდა შედეგებს ამ მხილებისას.

ამაოდ უცდიდა! გადიოდა დრო და მეფის კავშირს უკანონოს არ აკლდებოდა არავითარი ძალა, იგი კავშირი უფროც მტკიცდებოდა; არა გრილდებოდა მეფის გული ტრფობით აღტყინებული, უფროც ღვივდებოდა, ინთებოდა, სანეტარო ალით პრიალდებოდა.

— მიკვირს, რით მოხიბლა იმ მეძავმა რვალის გული მტკიცე ვაჟკაცისა, როგორ გაალხო და გაადნო, როგორც რამ ცვილი; რა მანქანებით ძლიერდება მილტოლვა ბუმბერაზისა დღითი დღე?! ძლიერი ძალა ამხედრებულა მეფის ოჯახის შესაბღალად, ძლიერება ჯოჯოხეთისა მოჰვლენია, რომ შემუსროს სიწმიდე ცხებულისა და დასცეს ბჭენი მაგარნი საქართველოსი. ბელზებელს განუზრახავს დაარღვიოს სჯული ქრისტესი მისივე დამცველის ხელით, დაამკვიდროს მის ნანგრევებზედ სჯული უსჯულო, ბნელეთით მოვლინებული წესდება უწესო.

— მაინც ჯერ ისევ მოთმინება, აზომვა წინააღმდეგ ძლიერ ძალისა!

ბევრი თმენა და დაყოვნებაც ვეღარ შეიძლებოდა: დედოფალი თანდათან მწარდებოდა, მრისხანდებოდა. რახან ერთხელ გაამჟღავნა იმან თავისი იდუმალი დარდი, ვეღარ იკავებდა გულისთქმას, ძლიერად ანვითარებდა თვის მისწრაფებას. აქამდინ რომ ორისა და სამის საიდუმლო იყო სასახლეში აღმოჩენილი სიბოროტე, ეხლა მთელმა ჯგუფმა იცოდა ეს დედოფლისაგან. ბევრი დრტვინავდა, ზოგი კიდეც ამხედრებულიყო; განგაში იდგა მთელ სასახლეში. ყოფნა აღარ შეიძლებოდა: მეტი მოცდა ეკლესიის სისუსტეს დაადასტურებდა, მის დარაჯთა უძლურებას თუ უღირს შიშნეულობას. მაინც საჭირო იყო ფრთხილად მოქმედება და მით უფრო, რომ შემცოდე კეთილისმყოფელი იყო ეკლესიისა. გრიგოლმა აშოტის ქველი მარჯვენის შემწეობით დააფუძნა თავისი მონასტერი ხანძთა, ააღორძინა მრავალი სხვა სავანეები, რომელნიც ეხლაც მეფის სიუხვით სცხოვრებდნენ და იფურჩქნებოდნენ. სიწმიდის ახლად დამკვიდრებულ კერიებს ძალიან ეჭირვებოდათ გამოცდილი მარჯვენაც ქვეყნის მცველისა: მტერი მრავლად მოსდგომოდა მთელ საქართველოს და მის სიწმიდეებს; აშოტის გატეხა ზღუდის ჩამოცლა იყო მათთვის, მოქნეული ხმლის გადაფშვნეტა შიგ ვადაში. დიდი სიფრთხილე ჰმართებდა ეკლესიის წინამძღვარ მწირს, მეტი წინდახედულობა.

კიდეც ფრთხილობდა გრიგოლი, დღე და ღამ ეს ფიქრი არ ეშვებოდა მის ჯიუტშუბლს, დაბალს გარნა შორითშორს განზიდულს და მტკიცედ ნაჭედს მის შუბლის ფიცარს. მთელი უტეხი თვისი ნებისყოფის ამოძრავება სჭირდებოდა წმიდანს, რომ დროებით მაინც შეეკავებინა ღვთაებრივი შურით აღსავსე მილტოლვა თვისის გულისა, რომელი ღელავდა ძლიერის ღელვით, რომელი გზა იყო გადაშვებულიყო მახვილ მოწვდილი შუაგულ ბრძოლაში მაშინვე, დაუყოვნებლივ.

— მაცა, გულო ჩემო, ჰყოვნიდე მცირედს! ძლიერთა შენ წინააღმდეგ მებრძოლი ბუმბერაზი, სატანაის ძლიერებით არის აღჭურვილი. ფრთხილად! დღეს ჩემს მარჯვენას დაჰყრდნობია სასოება მებრძოლი ეკლესიისა სდუმდენ რჩეულნი ეკლესიისანი, უდებობს საჭეთ-მპყრობელი; უნდა ამეტყველდეს მწირი, ამოქმედდეს სოფლით განდეგილი, ქვეყნით გალმა გაბიჯებული.

ვასილ ბარნოვი.

(შემდეგი იქნება)

სამხედრო სამინისტროს სტამბა, ლორის მელიქოვის ქუჩა № 3.